


# საქართველოს იკლოთეკა

ISSN 1512-0880

№4 (53)-2013

1239

2013



# საქართველოს ბიბლიოთეკა




გავშვი - წიგნი - გიზლიოთეკა

რელაქსიის მისამართი:  
თბილისი ვუკედის ქ.  
№18, ბ. 16  
ფედ 223-02-98  
297-16-83



ქურნალის რელაქსია:  
ადექსანდრე ღორია  
- მთავარი რედაქტორი  
გურამ თაყნიაშვიდი  
- მთავარი რედაქტორის  
მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი  
გუდნარა სცურუა  
- სამეცნიერო-მეთოდური და  
კორესპონდენტებთან მუშაობის  
რედაქტორ-კოორდინატორი



ინფორმაცია „ალი“  
დამფუძნებლები: საქართველოს  
პარლამენტის იდია ქაჭავაძის  
სახელობის ეროვნული  
ბიბლიოთეკა; საქართველოს  
საბიბლიოთეკო ასოციაცია.



ქურნალი გამომცემის წელიწადში ოთხჯერ

**შინაარსი**

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო მეთოდოლოგიისათვის ..... 5

**საბიბლიოთეკო სისტემა**ინგა ფილაური – დოკუმენტი საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკების  
განვითარებისათვის ..... 7**წიგნის ისტორია**გიორგი არაბული – “ვეფხისტყაოსნის” პირველი ბეჭდური გამოცემა და  
ვახტანგ VI – ის ღვაწლი ..... 8**სასკოლო ბიბლიოთეკები**ნინო ასტამაძე – სკოლის ბიბლიოთეკების ფუნქციონირების პრობლემები  
საქართველოში ..... 10**დიდი სახელები**

ირინა ლორია – ჯოვანი ბოკაჩო შვიდასი წლისაა ..... 12

**კორესპონდენციები**

თეა მელაძე – ამღერებული ლექსები ..... 14  
 მანონი ხორავა – გულწფელი ნატვრის განცდით..... 15  
 მ. ზედგენიძე – თამარს ვაჭებდით მეფესა ..... 15  
 მანანა საგანელიძე – დიდი მოღვაწის პატივსაცემლად ..... 16  
 ნაირა სარჯველაძე – ვაჩუქოთ ბავშვებს სიხარული..... 17  
 გ. სტურუა – მკითხველის გულისთქმა..... 19  
 ლამარა დუნდუა – კონფერენცია “ჩვენი აფხაზეთი” ..... 19

**ღვანულმოსილი წინაპრები**

ალექსანდრე ლორია – ერთი პირველთაგანი ..... 20  
 ლილი გორდელაძე – “ულმობელი საქმის კაცი” ..... 22  
 ქეთევან ნიკურაძე – ქართული დრამატურგიის ელვარება ..... 24  
 გულნარა სტურუა – დიდი მეცნიერი და მოქალაქე ..... 28

**იუბილე**

ლალი ჩხაიძე – ღვანულმოსილის დაფასება..... 30



**ი ნ ზ ო რ მ ა ც ი ა**

მამულზე ზრუნვის ნიშნით .....	31
დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ .....	32

**რ ე ვ ი უ**

დავით გიგინეიშვილი – “კაფე ზიმერმანი” –ს კონცერტი ზალცბურგში .....	33
--	----

**ქ რ ო ნ ი კ ა**

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა : მოვლენები, ფაქტები .....	34
2014 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი .....	38

**ნ ე კ რ ო ლ ო ზ ი**

შრომით დაუღლელი ადამიანის .....	42
---------------------------------	----

**БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 4 (53) – 2013**

**Содержание**

Для библиотековедения и библиотечной методологии .....	5
--	---

**Библиотечная система**

Инга Пилаური _ Документ для развития публичных библиотек в Грузии .....	7
---	---

**История книги**

Георгий Арабули _ Первое печатное издание “Витязя в тигровой шкуре” и заслуга Вахтанга VI .....	8
---	---

**Школьные библиотеки**

Нино Астамадзе _ Проблемы функционирования школьных библиотек в Грузии .....	10
--	----

**Большие имена**

Ирина Лория – Джованни Боккаччо – 700 лет .....	12
---	----

**Корреспонденции**

Tea Меладзе - Спетые стихи .....	14
Манони Хорава- Чувством сердечной мечты.....	15
М. Зедгенидзе- Хвалим царицу Тамару.....	15
Манана Саганелидзе- В честь заслуженного деятеля .....	16
Наира Сарджвеладзе- Подарим детям радость .....	17
Г. Стураа- Желание читателя .....	19
Ламара Дундуа- Конференция “Наша Абхазия” .....	19

## Достойные предки

Александр Лория- Один из первых .....	20
Лили Горделадзе- Гнетущий деловой человек .....	22
Кетеван Никурадзе- Сияние грузинской драматургии .....	24
Гулнара Стурау- Большой ученый и гражданин .....	28

## Юбилей

Лали Чхаидзе- Уважение заслуженного .....	30
---	----

## Информация

В знак заботы о родине .....	31
После провозглашения независимости .....	32

## Ревью

Давид Гигинеишвили- “ Кафе Циммерман “ в Зальцбурге.....	33
--	----

## Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии : события, факты .....	34
Календарь достопримечательных и юбилейных дат в 2014 году .....	38

## Некролог

Кончина неумолимого от труда человека.....	42
--	----

## The Georgian Library N 4 (53)-2013

### Contents

For library science and library methodology .....	5
---	---

### Library System

Inga Pilauri - Document for the public libraries' development in Georgia .....	7
--	---

### Library History

George Arabuli – The first printed publication of “The Knight in the Panther’s Skin” and the merit of Vakhtang the Sixth.....	8
---	---

### School libraries

Nino Astamadze - The functional problems of the school libraries in Georgia.....	10
--	----

### Great Names

Irina Loria – Jovanni Boccaccio – 700 years .....	12
---	----

### Correspondences

Tea meladze- Singing poems .....	14
Manoni Khorava- In sense of sincere desire .....	15
M. Zedgenidze- Let’s praise Tamar the queen.....	15



Manana Saganelidze- In order to respect the great workman.....	16
Naira Sarjveladze- Let's present to children a gladness .....	17
G. Sturua- Reader's inmost.....	19
Lamara Dundua- Conference " Our Abkhazia".....	19

### Honoured Ancestores

Aleksandr Loria - One of the firsts.....	20
Lili Gordeladze – "Ruthless businessman".....	22
Ketevan Nikuradze- The sparkle of Georgian dramaturgy.....	24
Gulnara Sturua – Great scientist and citizen .....	28

### Jubilee

Lali Chkhaidze- To have a respect for honoured man .....	30
--	----

### Information

To take care of the patrimony .....	31
After the announcement of independence.....	32

### Review

David Gigineishvili- "Café Zimmerman"- concert in Zalzburg .....	33
--	----

### Chronicle

The chronicle of the Georgian Library life: events, facts .....	34
Calendar of remarkable and jubilee dates in 2014.....	38

### Obituary

The end of the man ,tireless with work.....	42
---	----

# ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო მეთოდოლოგიისათვის

ძალიან ძნელად, მაგრამ მაინც, საბიბლიოთეკო საქმეში რალაც სასიკეთო ძვრები იგრძნობა, თუმცა რამდენადმე აშკარად შესამჩნევი და აღსანიშნავი არაფერი მომხდარა, განსაკუთრებით ბიბლიოთეკათმცოდნეობის, როგორც თეორიული ბაზისა და მეთოდოლოგიაში – საქმის წარმოების საფუძვლებში.

საბიბლიოთეკო დარგს ყოველთვის ჰქონდა გამოუღებავი პრობლემა და სირთულეები, მაგრამ ასეთი უყურადღებობა, როგორც ამ ბოლო 10–15 წლებში აღინიშნებოდა მის მიმართ, არასოდეს ყოფილა. ეს განსაკუთრებით მის თეორიულ საფუძვლებზე – ბიბლიოთეკათმცოდნეობაზე იქმნის.

არავინ დავობს იმაზე, რომ მეცნიერული საფუძვლები დარგის პროფესიულად განვითარების საწინდარია, და, რა თქმა უნდა, საბიბლიოთეკო საქმესაც ესეა, მაგრამ როდესაც თვით დარგი, რომელიც სათანადოდ არაა აღიარებული, მისი შესატყვისი თეორიული ბაზაც არაფრად მიაჩნიათ.

ვერ ვიტყვი, რომ საბიბლიოთეკო თეორია თითქოს არ ვითარდებოდა საერთოდ. ვითარდება კანონზომიერების მიხედვით, მაგრამ საერთაშორისო მასშტაბით, ჩვენ კი ამაში თითქმის არ ვურევივართ. მართალია, ამ ბოლო ხანებში ჩატარდა რალაც რეფორმები, რამდენიმე ბიბლიოთეკას მზრუნველი ხელი დაეტყო, დაინერგა სიახლეები, გაჩნდა სწრაფვა ინოვაციებისადმი, უცხოური გამოცდილებისადმი, მაგრამ როგორც ბევრი რამ, ამ შემთხვევაშიც ყოველივე ეს „ინპორტულია“, გარედან შემოტანილი თუ შემოგზავნილი, რაც თავისთავად ცუდი როდია, მაგრამ როდესაც შენი არაფერი გაგაჩნია, არსებულის მიმართ ჩნდება ნიჰილიზმი, არ ხდება ადგილობრივის დაფასება და მისი პირობების გათვალისწინება, შესაძლებლობების ზუსტი შეფასება... ისეთი გვინდა გვექონდეს, როგორც ეს სხვას აქვს – განვითარებულ უცხო ქვეყნებში, მაგრამ ვერ ვალწვეთ ამას, რაკი საამისოდ არც მზაობა გვაქვს, არც შესაძლებლობები და არც ცოდნა – გამოცდილება.

თეორიები, რომლებიც მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებიდან აღწევს ჩვენამდე, იმდენად დაგვიანებულია, რომ ვიდრე მას დავნერგავთ, იგი კიდევ ძველდება. ყოველგვარ სიახლეს ესაჭიროება თეორიული შესწავლა, გააზრება, მორგება ადგილობრივი პირობებისადმი. ამისათვის კი საჭიროა ნაციონალური პეციალისტების, თეორეტიკოსების, მეთოდისტების, მკვლევართა

და საგნის მცოდნე გამოცდილ პირთა ძალისხმევა. ამგვარი კადრი კი საქართველოს სინამდვილეში იმდენად ცოტაა და იმდენად არ ეწყობა მათ ხელი, ფაქტობრივად, ისინი ამინდს ვერ ქმნიან. სინამდვილეში საბიბლიოთეკო თეორია – ბიბლიოთეკათმცოდნეობა სავსებით გამქრალია და ძნელი წარმოსადგენია, ახლო მომავალში ის რალაც დონით მაინც ამაღლდება.

გვაქვს თუ არა ჩვენ ბიბლიოთეკათმცოდნეობის სარეზერვო ბაზა, რომ ჩვენი ტრადიციები გამოვაცოცხლოთ?

როგორც ცნობილია, ისტორიულად საქართველოში საბიბლიოთეკო პროცესები ქრისტიანობის დამკვიდრებასთან ერთად იწყება. პრაქტიკულად ბიბლიოთეკები მსოფლიოს ქრისტიანული გამოცდილების ბაზაზე ვითარდებოდა ჩვენში. შუა საუკუნეების სამონასტრო-საეკლესიო ბიბლიოთეკები (ნიგნსაცავები) ყოველთვის ვითარდებოდა მეთოდოლოგიურ ბაზაზე, რაც შემდეგ სპეციალურ მეცნიერულ საფუძვლად იქცეოდა და უკვე მე-13 საუკუნეში კიდევ ჩაეყარა საძირკველი ბიბლიოთეკათმცოდნეობას ევროპაში.

მიუხედავად საქართველოში ნიგნსაცავების სიმრავლისა და მათი საქმიანობის მაღალი კულტურისა, ისტორიული უკუღმართობის შედეგად, განვითარება შეფერხდა; საბიბლიოთეკო თეორიას გასაქანი მხოლოდ მე-19 საუკუნის ბოლოს მიეცა, როდესაც პრესის ფურცლებზე სათანადო კორესპონდენციები და მეთოდოლოგიური მოსაზრებები გამოჩნდა, ხოლო მომდევნო საუკუნის 20-იანი წლებიდან უკვე სისტემატური კვლევა-ძიება იწყებს განვითარებას და ყალიბდება ქართული ბიბლიოთეკათმცოდნეობის მიმართულება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. თანდათან ძალას იკრებდა საბიბლიოთეკო თეორია და მეთოდოლოგია, რომელმაც თავისი განვითარების მაღალ დონეს 40–50-იან წლებში მიაღწია.

ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებდა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური განყოფილება, სადაც მუშავდებოდა და გამოიცემოდა მეთოდურ-ინსტრუქციული ბროშურები, ითარგმნებოდა სახელმძღვანელოები, წარმოებდა მეცნიერული კვლევა-ძიება, გამოიცემოდა „შრომების“ ტომეულები, ტარდებოდა სამეცნიერო და სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, თათბირები; შეიქმნა ფუნდამენტური ბიბლიოგრაფიული საძიებლები

და მაჩვენებლები ძველი ქართული პერიოდიკისა და კრებულის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ნაკვეთების სახით.

სამეცნიერო-მეთოდოლოგიური მუშაობა აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს წიგნის პალატაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო წიგნის ბიბლიოგრაფიის ფუნდამენტური მრავალტომიანი გამოცემა, რომელშიც აისახა პირველი წიგნიდან მოყოლებული (1629) 1950 წლამდე გამოქვეყნებული ბეჭდური წიგნი, რაც გაგრძელდა შემდეგ წლებშიც. აქ დაიწყო გამოცემა სამეცნიერო პერიოდულმა ორგანომ „მოამბემ“. გამოდიოდა სხვადასხვა სახის მატრიანები, სამეცნიერო კრებულები და ცალკეული გამოცემები. 50-იან წლებში ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრა პედაგოგიურ ინსტიტუტში აქტიურად ეწევა მეცნიერულ მოღვაწეობას, გამოსცემს სახელმძღვანელოებს, აწყობს სამეცნიერო სესიებს. არაერთი ნარკვევი იქნა გამოცემული ბიბლიოთეკათმცოდნეობის ყველა დარგში. პედაგოგიურ ინსტიტუტის „შრომების“ კრებულებში სისტემატურად ქვეყნდება კათედრის წევრთა ნაშრომები.

საქართველოში ბევრი ორიგინალური მეცნიერულ-მეთოდოლოგიური საკითხი დამუშავდა, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს საკავშირო მასშტაბით, არაერთხელ აღინიშნა კათედრაზე დამუშავებული თემატიკის აქტუალობა. საბჭოთა კავშირში საქართველოში პირველად იქნა მეცნიერულად შესწავლილი ბიბლიოთეკების დაგეგმვის, ანგარიშებისა და ორგანიზაციის საკითხები, საბიბლიოთეკო კოეფიციენტების ნორმატივებით გაანგარიშება, გამოკვლეულ და შედგენილ იქნა ახალი, ორიგინალური გეოგრაფიული განმსაზღვრელები, პირველად დაინერა მონოგრაფია საქართველოს საბიბლიოთეკო ისტორიის შესახებ; კათედრაზე მიმდინარეობდა კითხვის ფსიქოლოგიის კვლევა, დამუშავდა კითხვის კვლევის პრობლემატიკა და მოცემულ იქნა იდეა ამ მიმართულებით ახალი მეცნიერების – „ლექტოლოგიის“ შესაქმნელად, გამოქვეყნდა სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის და სხვა. გარდა ამისა, სხვაც ბევრი რამ გაკეთდა, რაც ამიდრებდა ცოდნას, ხელს უწყობდა პრაქტიკული მოღვაწეობის ხარისხის ამაღლებას, მომსახურების გაუმჯობესებას. ეს დიდად იყო დამოკიდებული სპეციალისტთა კადრების მომზადებაზე პედაგოგიურ და კულტურის უნივერსიტეტებში.

სამწუხაროდ, წარმატებულად განვითარებადი პროცესი შეწყდა. აქედან გამომდინარე, მოხდა სრული დაგრადაცია დარგისა. ამან გამოიწვია საზოგადოებრივი აზრის დეფორმაცია ბიბლიოთეკების შესახებ, რამაც თავისთავად იმოქმედა სოციალურ გარემოზე – აღარ არსებობს

რა სპეციალისტთა მომზადების სისტემა, მეცნიერული მოღვაწეობის სფერო, მოხდა ბიბლიოთეკებზე შეხედულებების გაყალბება და დანიშნულების გაგების გაუბრალოება, დაიწყო საბიბლიოთეკო შრომისა და იქ მომუშავე პერსონალის დაკნინება. მართალია, საბიბლიოთეკო ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ რამდენადმე დაძრულია საქმე, როგორცაა მოკლევადიანი კურსები, ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოქვეყნებული მეთოდოლოგიური ბროშურები, რამდენიმე უცხოური დოკუმენტის თარგმნა და გამოქვეყნება, აქა-იქ გამოჩენილი მკვლევართა ნაშრომები, პროფესიული ჟურნალის – „საქართველოს ბიბლიოთეკის“ გამოცემა და სხვა, მაგრამ ყოველივე ეს უმნიშვნელოა იმ ახალი მოთხოვნილებების პირობებში, რომელიც ამჟამად საბიბლიოთეკო სფეროს მოეთხოვება.

დღეს ბიბლიოთეკა მნიშვნელოვან განახლებას მოითხოვს. ხდება მისი სრული გარდაქმნა, ვდგავართ არა თუ განახლებისა და რეფორმაციის, არამედ თვისობრივად ახალი ორგანიზმის შექმნის გზაზე, და ამ დროს ვიდგეთ და ველოდოთ, რა შეიქმნება და გაკეთდება სხვაგან, და მერე ის გადმოვიღოთ ჩვენს სინამდვილეში, დიდ წარმატებას არ მოგვიტანს, სწორედ ახლა გვჭირდება ახალი სპეციალისტთა კადრების მომზადება პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, მეცნიერული და მეთოდოლოგიური მოღვაწეობის გამოცოცხლება, რომ მხარი აუუბათ მსფოლიოში მომხდარ ძვრებს, გადმოვიღოთ ჩვენში რაც კარგია და დავნერგოთ ჩვენი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მეტიც: ჩვენში უნდა გაძლიერდეს კვლევა-ძიება, არსებული გამოცდილების გაღრმავება-განვითარება, საუკეთესო მეთოდების შემოთავაზება, ეროვნული საკითხების დამუშავება.

მთელი ცივილიზებული საზოგადოების მიერაა მიღებული და გაზიარებული მოსაზრება, რომ კულტურა; განათლება, მეცნიერება ის ბაზისია, რომელიც ქვეყნის ყოველგვარი წარმატების საფუძველია. ამ ბაზის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი წიგნიერებაა, რომლის დანერგვის საქმეში ბიბლიოთეკა უპირველესია.

ამიტომაც თანამედროვე პროფილით ბიბლიოთეკების განვითარების აქტიურად უნდა შეეწყოს ხელი. ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. აუცილებელია არსებობდეს დარგის მეცნიერული კვლევა და მეთოდოლოგიური მუშაობა. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, გაძლიერდეს ამ მიმართულებით მოქმედება. ყველანი – საბიბლიოთეკო დარგის მუშაკები თუ თანამდგომნი, მკითხველნი თუ მომხმარებელნი, უნდა ვიბრძოდეთ ამის მისაღწევად, მთელი ძალები ამისკენ უნდა მივმართოთ!





## საბიბლიოთეკო სისტემა

# დოკუმენტი საქართველოში საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებისათვის

მიმდინარე წლის დასასრულს ლიტვის არასამთავრობო ორგანიზაციის „სოფლად ინტერნეტქსელის განვითარების ასოციაციის“ ინიციატივითა და თანადგომით, რომელიც დაფინანსებულია ლიტვის მთავრობის მიერ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკათა, წიგნის გამომცემელთა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობით შეიქმნა საქართველოს საბიბლიოთეკო განვითარების სამოქმედო დოკუმენტი – „საჯარო ბიბლიოთეკა საქართველოში: 21-ე საუკუნის ხედვა“.

დოკუმენტი რამდენიმე ეგზემპლარადაა გავრცელებული და, ამდენად, მისი გაცნობა სრულად დაუფრო დანერვილებით შედარებით მოსახერხებელია კომპიუტერით. რეკომენდაციის მიზნით ჩვენს მკითხველებს მას რეფერატის სახით ვთავაზობთ.

არაფორმალურად, მაგრამ შინაარსობრივი თვალსაზრისით ხსენებული დოკუმენტი 2 ძირითადი ნაწილისაგან შედგება: პირველი მოიცავს არსებული ვითარების ასახვას, მის კრიტიკულ შეფასებას, მეორე – რეკომენდაციებს, სამომავლოდ საქმის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განსაზღვრას, წინადადებებს.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, საქართველოში არსებული მდგომარეობა საფუძვლიანადაა შესწავლილი და განზოგადებული, შეჯერებულია სტატისტიკური მონაცემები. როგორც მონაწილეთა შემაჯამებელ სხდომაზე იქნა მიღებული სათანადო დასკვნა, ვგებულობთ, რომ საქმე საკმაოდ რთულადაა. დასკვნაში, რომელიც წინ უძღვის ნაშრომს, დებულებათა სახითაა ნათქვამი, რომ საკმაოდ არასასურველი ვითარებაა: საბიბლიოთეკო ქსელმა „დაკარგა ინფორმაციის მიმწოდებლის როლი... ბიბლიოთეკებმა ვერ შეძლეს ადაპტირება განვითარებასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან“, მუდმივ პრობლემას წარმოადგენს „თანხის ნაკლებობა, ხელსაყრელი პირობები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე გამოცემები, კვალიფიციური ადამიანური რესურსები“...

„აღნიშნული დოკუმენტი გვთავაზობს ხედვას,

ქსელის განვითარებისათვის მიმდინარე 8 წლის განმავლობაში... დეტალურ გეგმას, როგორ უნდა მოხდეს საქართველოს ბიბლიოთეკების ტრანსფორმირება“.

დოკუმენტში მოცემულია საბიბლიოთეკო ქსელის რაოდენობრივი მაჩვენებლის ამსახველი სქემა, რომლიდანაც ვგებულობთ, რომ საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა ქალაქში შეიცავს 27%-ს, ხოლო სოფლად – 53%-ს.

ამას მოსდევს საქართველოში საბიბლიოთეკო მომსახურების უზრუნველყოფის სქემა. თუ ქალაქებში მოსახლეობის უზრუნველყოფის 100% არსებობს, სოფლებში ის 20%-საც ვერ აღწევს. როგორც დოკუმენტი გვამცნობს, საქართველოს სოფლების მხოლოდ 15%-ში არის ბიბლიოთეკა. განსაკუთრებით რთული ვითარებაა კასპის, გარდაბნის, ქარელის, თერჯოლის რაიონებში. ცენტრალური ბიბლიოთეკებიდან ყველაზე მძიმე ვითარებაა მარნეულში; აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ ფუნქციონირებს არც ერთი სასოფლო ბიბლიოთეკა, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა ბევრ სხვა რაიონში. მრავალი სოფლის ბიბლიოთეკის ფონდები გადაეცა საჯარო სკოლებს, რითაც, ფაქტობრივად, ამ სოფლების მოსახლეობა საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე დარჩა.

„სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულება არღვევს მოქმედ კანონმდებლობას, ლახავს მოსახლეობის კონსტიტუციურ უფლებას“, ამით ხელი ეწყობა კითხვადობის მკვეთრ დაქვეითებას, რაზედაც მეტყველებს 18-ს (მოსწავლეთა ნიგნიერების შეფასების საერთაშორისო პროგრამა) 2009 წლის კვლევის მონაცემებით – 74 ქვეყნიდან საქართველო 67-ე ადგილზეა.

დოკუმენტში მოცემულია სქემა: „ბიბლიოთეკების რაოდენობა საქართველოს რეგიონებში (საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის 2012 წლის მონაცემებით)“.

შედარებით პოზიტიურად მოიხსენიება მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, იმერეთის, გურიის სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების დამოკიდებულება საბიბლიოთეკო ქსელისადმი.

საერთოდ, მძიმე ვითარებაა კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით. ამ მხრივ შედარებით უკეთ გამოიყურება: ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის, წყალტუბოს, ხაშურის, ბორჯომის, რუსთავის, ლანჩხუთის, ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკები, ამჟამად 64 ცენტრალური ბიბლიოთეკიდან მხოლოდ 30-ს აქვს ინტერნეტი.

ნაშრომში განხილულია საქართველოს კანონმდებლობის საკითხები. აღნიშნულია, რომ ბევრი რამ აქ გადასახედა; მოცემულია კრიტიკული შენიშვნები, აღნიშნულია, რომ შესუსტებულია კულტურის სამინისტროსა და ეროვნული ბიბლიოთეკის მაკოორდინებელი ფუნქცია, არა აქვთ მათ ამ მიმართულებით არავითარი სტრატეგია. საბიბლიოთეკო ასოციაცია გაცილებით უკეთ მუშაობდა 2000-2005 წლებში, მაგრამ შემდეგში (2007 წლიდან) მისი აქტიურობა საგრძნობლად შესუსტდა. ხაზგასმულია ის, რომ საქართველოში გლობალურად არ მომხდარა საბიბლიოთეკო საქმის შესწავლა და ანალიზი, რაიმე არსებით ღონისძიების მიღება.

დოკუმენტში პუნქტობრივადაა ნუსხები ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ; შესაძლებლობებისა და საფრთხის შესახებ; ჩამოთვლილია პრობლემები; განიხილება საკითხები: 21-ე საუკუნის საჯარო

ბიბლიოთეკების ხედვა საქართველოში; ღირებულებები; მიზნები; საჯარო ბიბლიოთეკების შენობები და აღჭურვილობა; თანამედროვე ბიბლიოთეკარის პროფესიული კომპეტენციები; საჯარო ბიბლიოთეკა-საზოგადოებრივი ციფრული ცენტრი; საჯარო ბიბლიოთეკა - ნიგნიერების, სამოქალაქო ჩართულობისა და უწყვეტი განათლების პროგრამების ხელშემწყობი; ნიგნიერება; კითხვის ხელშემწყობა; ყურადღება ბავშვებს ადრეული ასაკიდან; საჯარო ბიბლიოთეკა როგორც კულტურის ცენტრი; საზოგადოებრივი ჩართულობა; სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე; კლასგარეშე განათლება; სწავლა საკუთარ გამოცდილებაზე; საჯარო ბიბლიოთეკების ეროვნული რეფორმა; მომავალი ინიციატივების ძირითადი კომპონენტები; სამთავრობო და არასამთავრობო დანესებულებებთან პარტნიორობის განვითარება.

ყველა საკითხი განხილულია საქმის ცოდნით, მაღალი პროფესიონალიზმით; შექმნილია სამოქმედო დოკუმენტი, რომელსაც ყველა სპეციალისტი უნდა გაეცნოს და მის შესაბამისად იმოქმედოს. მთავარია მხოლოდ, სახელმწიფოს ნება, რის გარეშე რაიმე არსებითის მიღწევა შეუძლებელია.

რეფერატი შეადგინა  
D. ვილასური-ლორია

## წიგნის ისტორია

# ვეფხისტყაოსნის პირველი ბეჭდური გამოცემა და ვახტანგ VI-ის ღვაწლი

### გიორგი არაბული

#### ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი

XII საუკუნის დასასრულს შექმნილი ქართული პოეზიის შედევრი - შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ხუთი საუკუნის მანძილზე ხელით ნაწერი ნიგნებით ვრცელდებოდა. „ბიბლიასა“ და „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად „ვეფხისტყაოსანი“ სანუკვარ და თავმოსანონებელ წიგნად იყო მიჩნეული ქართველ ხალხში.

პოემის ხელნაწერები სხვადასხვა მიზეზით ზიანდებოდა. მათ აკლდებოდა სტროფები ან სტრიქონები, ზოგჯერ - მთელი ფურცლები, რომელთაც შემდეგ ზეპირად, მახსოვრობით ან სხვა ნუსხების მოშველიებით აღადგენდნენ-ხოლომეფრო ხშირად კი დაბალი რანგის პოეტები, ანუ

მოხალისე მეღექსეები, ხშირად თვით ტექსტის გადამწერებიც, პოემის რომელიმე ეპიზოდის მიხედვით, სრულიად ახალ სტროფებს ქმნიდნენ და ურთავდნენ რუსთაველისეულ ტექსტში მისი, ვითომ შევსების მიზნით; ფაქტობრივად კი, ასეთი მოქმედებით ანაგვიანებდნენ და ამახინჯებდნენ გენიალური ქმნილების ავთენტიკურ ტექსტს.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემა განხორციელდა 1712 წელს თბილისში, ქართლის მმართველის ვახტანგ VI ბაგრატიონის თაოსნობით დაარსებულ სტამბაში. ვახტანგს მძიმე პირობებში უხდებოდა ქვეყნის მართვა. შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად სისხლისაგან დაცლილი და მეურნეობამოშლილი აღმოსავლეთი საქართველო წელში ვერ გამართულიყო. 1632 წლიდან ქართლსა და კახეთში ოფიციალურად ქრისტიანი მეფეები

აღარ იყვნენ. მათ ირანის შაჰი ნიშნავდა იმ პირობით, რომ მაჰმადიანური სარწმუნოება ელიარებინათ და შაჰის ერთგული ქვეშევრდომები ყოფილიყვნენ.

ვახტანგმა ქართლის მმართველობა დაიწყო 1704 წელს როგორც ბიძამისის – გიორგი XI-ის მოადგილემ „ჯანიშინის“ (განმგებლის) ნოდებით. გიორგი XI ფორმალურად ქართლის მეფედ ითვლებოდა, მაგრამ ფაქტობრივად ირანის სპასალარი იყო და სამშობლოში ვერ ჩამოდოდა. ვახტანგი მაშინ მართლმადიდებლობის აღმსარებელი იყო. შემდეგ, 1712 წელს, იგი ირანში გაიწვიეს და მოსთხოვეს რჯულის გამოცვლა. უარის გამო შორეულ პროვინციაში, ქირმანში, გადაასახლეს და მანამდე არ გამოუშვეს, ვიდრე მუსლიმანობა არ აღიარა.

ჯერ კიდევ ჯანიშინად ყოფნის დროს ვახტანგმა ქვეყნისთვის სასარგებლო ბევრი რამ გააკეთა. მის მიერ შედგენილმა „სწავლულ კაცთა კომისიამ“ დაწერა XIV–XVII საუკუნეების საქართველოს ისტორია და შექმნა „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქცია. ვახტანგმა შეადგინა კანონთა კრებული, დაწერა სამართლის ახალი წიგნი.

იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა წიგნის საბეჭდავის მოწყობას. ამაში ვახტანგს დაეხმარა რუმინეთში მცხოვრები ქართველი პოლიტიკური და საეკლესიო მოღვაწე ანთიმოზ ივერიელი. მან თბილისში გამოგზავნა თავისი მოწაფე მიხაილ იშტვანოვიჩი, რომელმაც მოაწყო სტამბა და რამდენიმე ქართველს ასწავლა წიგნის ბეჭდვის ხელოვნება. ამ სტამბაში 1712 წელს დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგის მიერ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, განსაკუთრებით სტროფული შედგენილობით, პოემის იმდროისათვის არსებული ვრცელი ხელნაწერებისაგან.

იქვე დაიბეჭდა ვახტანგის „თარგმანი“, ანუ განმარტება „ვეფხისტყაოსნისა“, რითაც საძირკველი დაედო რუსთაველის თხზულების მეცნიერულ კვლევას. ვახტანგმა სცადა გაერკვია „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ღირებულება და მნიშვნელობა, სადავოდ ქცეული საკითხი პოემის ფაბულისა და სიუჟეტის ორიგინალობისა თუ ნასესხობისა, აგრეთვე – ავტორის მსოფლმხედველობისა და რელიგიური მრწამსისა.

ვახტანგმა განმარტა მკითხველისათვის ძნელად გასაგები ძველი ქართული თუ უცხოური (სპარსული, არაბული, თურქული) სიტყვები,

პოემაში გამოყენებული მხატვრული ფრაზები და გამოთქმები, მეტაფორები, სიმბოლოები და სხვ.

ვახტანგის „თარგმანში“ საგანგებოდ დასმულია რუსთაველის თხზულების ჟანრის საკითხი. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ „სოფლის ზღაპარია“, ანუ სახალხო, საერო ნაწარმოებია და მოფიქრებული და შეთხზულია თვით შოთას მიერ. ამით უარყოფილია პოემის სიუჟეტის ნასესხობის ვარაუდი, ის ორჭოფობა, რასაც იწვევდა „დასაწყისის“ მეცხრე სტროფი – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...“ ვახტანგი მას ვრცელ კომენტარს ურთავს და წერს: „ეს ამბავი სპარსში არსად იპოვება...“ მისი თქმით, შოთა „სპარსულ ამბავს“ ლიტერატურული ჟანრის შინაარსით ხმარობს, როგორც საგმირო – სათავგადასავლო თხზულების აღმნიშვნელს.

ცნობილმარუსთველოლოგმა მამია კარბელაშვილმა დეტალურად განიხილა როგორც ვახტანგის „თარგმანი“, ისე „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტურ-კომპოზიციური და სტილური მიმართება სპარსულ საგმირო-სამიჯუნრო, აგრეთვე შუა საუკუნეების ევროპულ სარაინდო რომანებთან. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიური ამბის არსებობა სპარსეთში არა მხოლოდ პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც სავსებით გამორიცხულია“. მისივე თქმით, „ვახტანგის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულ-შემფასებლური ანალიზის ფესვები მის მსოფლმხედველობასა, მსოფლგაგებასა და მსოფლშეგრძნებაშია საძიებელი: რუსთაველის პოემის ვახტანგისეულ „თარგმანში“ ევროპული სული ტრიალებს და რაიმე წინასწარგანზრახვის გარეშე ყოველი კომენტარი იმას ამტკიცებს, რომ ქართული კულტურა და მისი გვირგვინი – „ვეფხისტყაოსანი“ – ევროპული კულტურის ნაწილია“ (კრებ. „რუსთველოლოგია“, VI, გვ. 26).

XX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის 18 ცალმა მოაღწია. ისინიც მეტ-ნაკლებად დაზიანებული და არასრული იყო. ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერიდან 750 წლისთავის საიუბილეოდ, 1937 წლისათვის, პრფოესორ აკაკი შანიძეს დაევალა მისი აღდგენა და ხელახლად გამოცემა. ა. შანიძემ დიდი მეცნიერული პასუხისმგებლობით აღადგინა ვახტანგისეული გამოცემა იმ სახით, როგორც ის დაიბეჭდა 1712 წელს. წიგნს ერთვის რედაქტორ-გამომცემლის გამოკვლევები: „ვახტანგი როგორც ლექსიკოგრაფი“ და „ვახტანგის დედანი ვეფხისტყაოსნისა“. 1975 წელს განმეორებით დაიბეჭდა ამ წიგნის ფოტორეპროდუქციული გამოცემა.

# სკოლის ბიბლიოთეკების ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში

2010 წელს ზოგასაგანმანათლებლო სივრცეში რადიკალური ცვლილებები გამოიწვია სკოლების აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და ბრენდირების სისტემების ჩამოყალიბებამ, რომლებიც უამრავ მოთხოვნას უყენებენ სკოლებს არა მარტო განათლების ხარისხის ამაღლების მხრივ, არამედ სასწავლო გარემოს სკოლის სზოგადოებაზე მორგების თვალსაზრისით. თითოეულ დოკუმენტში მკაცრადაა განსაზღვრული, რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს სკოლა, რათა მისი აღიარება მოხდეს სოციუმში. ერთ-ერთ საკითხს სკოლის წარმატებულად ფუნქციონირებისათვის და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის წარმოადგენს სკოლის ბიბლიოთეკა, რომელიც მორგებული უნდა იყოს სკოლის საზოგადოების თითოეულ წევრზე.

სადღეისოდ, მრავალი ღონისძიება ტარდება ნიგნის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოზარდს სასწავლო გარემოს ცენტრალურ რგოლში, სკოლასა და სკოლის ბიბლიოთეკებში დახვდეს კომფორტული, მყუდრო გარემო, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება მოზარდი თაობის ნიგნთან „დაახლოების“ გზაზე.

სკოლის ბიბლიოთეკა განსაკუთრებულ ტიპს მიეკუთვნება. ის თავისი დანიშნულებით, ფუნქციებით, შრომითი პროცესით, მკითხველთა შემადგენლობით გამოირჩევა. სკოლის ბიბლიოთეკა უწყებრივია და თავიდან ბოლომდე სკოლის ძირითადი დანიშნულების ამოცანებისა და მიზნების განხორციელებას ემსახურება.

სკოლის ბიბლიოთეკას, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება მთელი თავისი საქმიანობა შეესაბამებოდეს სკოლის ამჟამინდელ მოთხოვნილებას, ჰქონდეს განვითარების სტრატეგიული გეგმა, ნერგავდეს ახალ ტექნოლოგიებს, უზრუნველყოფდეს სკოლის საზოგადოების მომხმარებელთა ინფორმაციულ მოთხოვნილებებს, ხელს უწყობდეს მასწავლებლებს აღმზრდელი საქმიანობის წარმართვაში, თავის მუშაობას ახორციელებდეს სასწავლო პროცესების გათვალისწინებით, ატარებდეს კულტურულ-საგანმანათლებლო და გონების გასავარჯიშებელ სამუშაოებს. ავრცელებდეს ნიგნებსა და სხვა ინფორმაციულ საშუალებებს, ეწეოდეს ნიგნიერების დონის განვითარებისათვის საჭირო ცოდნის მიწოდებას და იყოს ჩართული

კომპიუტერულ ქსელში, ასევე მიმართავდეს დღემდე აქტუალურ ტრადიციულ მეთოდებსაც.

ყველა ქვეყანაში შექმნილია სკოლის ბიბლიოთეკების თავისებური სისტემები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და კანონები, ხელმძღვანელი ორგანოები.

სკოლის ბიბლიოთეკის მთავარი მიზანია, ცალკეული მოსწავლისათვის და მოსწავლეთ ჯგუფისათვის განათლების, ინფორმაციის, სხვადასხვა საშუალებების, მასალებისა და რესურსების შეთავაზება.

სკოლის ბიბლიოთეკას უნდა შესწევდეს ძალა, დაეხმაროს ბავშვებს ისეთ თემებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებაზე, რომლებზეც სკოლის სახელმძღვანელოებში ნაკლებადაა საუბარი, ის უნდა აკმაყოფილებდეს ყველა ჯგუფის მოსწავლის მოთხოვნებს: ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად.

სკოლის ბიბლიოთეკა უნდა იყოს ადგილი, სადაც მოსწავლეები კულტურულად განვითარდებიან, აქ მოსწავლეები უნდა იკრიბებოდნენ გარკვეულ საგანზე ცოდნის მისაღებად, თავისუფალი დროის გასატარებლად, არაფორმალურ კონტაქტში შესვლით სხვა უფროს კლასელებთან ცოდნის გაღრმავების მიზნით.

სკოლის ბიბლიოთეკარს კარგად უნდა ჰყავდეს, შესწავლილი თავისი მომხმარებელი, ის ყოველწლიურად უნდა ატარებდეს გამოკითხვას და სკოლის საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად: აკომპლექტებდეს და აახლებდეს ბიბლიოთეკის ფონდს, პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს, რაც პირველ რიგში, გულისხმობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას მაქსიმალურად ოპტიმალურ დროში.

სკოლის ბიბლიოთეკის ადგილმდებარეობასა და მოწყობას განსაკუთრებული როლი ენიჭება. ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, მოხერხებულად გამოიყენებოდეს სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის, შეკრებებისა და გამოფენების, მუსიკალური და სხვა დადგმების ჩასატარებლად; აუდიო, ვიზუალური და მულტიმედია საშუალებების გამოყენებისათვის. სკოლის საზოგადოების თითოეულ წევრს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, შეუფერხებლად ისარგებლოს სკოლის ბიბლიოთეკის ფონდით: ნიგნებით, პერიოდული გამოცემებით, სპეციალური

ლიტერატურით, აუდიო ჩანაწერებითა და სხვა ციფრულ ფორმატში მოცემული მასალებით. სასკოლოს ჰიგიენური ნორმების დაცვით უნდა იყოს მონყობილი სამკითხველო დარბაზში, სადაც ყველა პირობა იქნება შექმნილი კითხვის, ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობისა და მასწავლებელთან ინდივიდუალური მეცადინეობისათვის. აუცილებელია სივრცის გამოყოფა სპეციალური ფონდებისა და მასალებისათვის, დამხმარე სათავსოებისათვის, ტექნიკური აღჭურვილობისათვის, სადაც გამართული და ხელმისაწვდომი იქნება: კომპიუტერები, პრინტერები, ასლის გადამღები ტექნიკა, აუდიოჩანაწერების მოსასმენი ტექნიკა, სპეციალური აღჭურვილობა ატლასებისათვის, ლექსიკონებისათვის, კედლის ვიტრინებისათვის, საგამოფენო სტენდები, საგაზეთო სტელაჟები და სხვა.

სკოლის ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს საკმარისად თავისუფალი სივრცე როგორც მკითხველის, ასევე პერსონალის გადაადგილებისათვის.

სკოლის ბიბლიოთეკას გარედან უნდა ჰქონდეს აბრა, რომელიც იტყობინება, თუ რა დანესებულებაა და როგორია დღის სამუშაო რეჟიმი. ასევე, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მასალა, ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვების ასაკი და სწორედ ამის მიხედვით გადანაწილდეს არსებული მასალა. განათლება უნდა იყოს სასკოლო ჰიგიენური სტანდარტების შესაბამისი. სკოლის ბიბლიოთეკა მოითხოვს ისეთ ატმოსფეროს, რომელიც მოსწავლეს განაწყობს ბიბლიოთეკაში მისვლისა და მისი მომსახურებით სარგებლობისათვის. ბიბლიოთეკაში საჭიროა დაცული იყოს ტემპერატურული რეჟიმის გათბობისა და ჰაერის კონდინციონირების ეფექტიანი სისტემების გამოყენებით. ელექტრო გაყვანილობა უნდა იყოს თანამედროვე და დიზაინის თვალსაზრისით შესაფერისი.

უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკას ესაჭიროება შესაფერისი ფართობი შესაბამისი სათავსოებისათვის. ბიბლიოთეკა უნდა იყოს ხალვათად, ჰქონდეს საშუალება, ფონდი განათავსოს ცალკე, მოაწყოს თავისუფალი დაშვების კუთხე, გამოყოს ფართობი აბონემენტისა და კატალოგებისათვის, გააჩნდეს ცალკე კუთხე ან ოთახი ადგილზე მომსახურებისათვის, ჰქონდეს საშუალება, თვალსაჩინოდ გამოფინოს სხვადასხვა ნიმუშები, გამართოს სტენდები, რისთვისაც დასაშვებია გამოყენებულ იქნეს ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაც.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკის გაფორმებას. ამისათვის გამოიყენება: ფოტოები, ტრანსპარანტები ბრძნული გამონათქვამებისათვის, საბიბლიოთეკო და საზოგადოებრივი დანიშნულების პლაკატები, რეკლამა, ოთახის ყვავილები და სხვა.

თუმცა ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ესთეტიკური თვალსაზრისით არაა საჭირო ბიბლიოთეკის სივრცის ზედმეტად გადატვირთვა.

ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები საჭიროა გაიკრას თვალსაჩინო ადგილას და მომხმარებლები ვალდებული არიან, ბიბლიოთეკაში ჩაწერისას ყურადღებით გაეცნონ მას, რადგან მკითხველის ფორმულარში ხელმოწერისას ამ წესებზე თანხმობას აცხადებენ. ამ წესებში გათვალისწინებულია ის უფლებები, რაც აქვთ ბიბლიოთეკის მომხმარებლებს და ის ვალდებულებები, რომელსაც სკოლის ბიბლიოთეკა კისრულობს მომხმარებელთა წინაშე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისისა და საქართველოს რეგიონალური სკოლის ბიბლიოთეკებს არ აქვთ ერთნაირი პირობები იმისათვის, რომ სათანადო მომსახურება გაუწიონ სკოლის საზოგადოების ყველა წევრს.

ჩატარებული კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ბიბლიოთეკები უნდა იყოს ტექნიკურად გამართული და სრულყოფილად ემსახუროს სკოლის კონტინგენტს, დღეს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში ყოველივე ეს მხოლოდ ფურცელზე დანერგულ სიტყვებად რჩება. ბიბლიოთეკებს არ შეესწავთ უნარი, დააკმაყოფილონ სკოლის კონტინგენტის მოთხოვნათა 20%. კვლევის შედეგად ასევე იკვეთება ფაქტი, რომ სკოლის ბიბლიოთეკარის მოვალეობას (რეგიონის სკოლებში განსაკუთრებით) მასწავლებლები ასრულებენ ან დირექციის წარმომადგენლები. სკოლა ვერ ახერხებს ბიბლიოთეკართა გადამზადებას, რის შედეგადაც ბევრ სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში ძირითადად ერთი თანამშრომელია, რომელსაც შეთავსებული აქვს ყველა სამუშაო. არაპროფესიონალიზმისა და დაბალი ანაზღაურების გამო, დაბალია მოტივაცია იმისა, რომ ბიბლიოთეკარმა სათანადო დახმარება აღმოუჩინოს სკოლის საზოგადოებას.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ყველა დირექტორმა კარგად იცის, რა სჭირდება მისი სკოლის ბიბლიოთეკას, ისინი მაინც ერთხმად ამტკიცებენ, რომ არსებული ბიბლიოთეკა ჯერჯერობით აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველანაირად ცდილობენ არსებული ბიუჯეტით გააუმჯობესონ (შეძლებისდაგვარად) ბიბლიოთეკის მდგომარეობა. მაინც არაფერი გამოდის, რადგან არსებული ბიუჯეტი სკოლის ძირითად ხარჯებსაც კი ვერ აკმაყოფილებს.

სკოლის ბიბლიოთეკებს არ გააჩნია სათანადო ფართობი კომფორტული გარემოს შესაქმნელად. მოძველებულია ინვენტარი, გამოუყენებელია ნიგნის დიდი მასივი, დიდ პრობლემას ქმნის ის, რომ საკმარისი არ არის და გაუმართავია კომპიუტერული

ტექნიკა, განსაკუთრებით ინტერნეტის ქსელის უქონლობა.

იმისათვის, რომ სკოლის ბიბლიოთეკებმა შეძლონ გამართული მუშაობა და აღმოიფხვრას ყველა პრობლემა, რომელიც დღეს სკოლის ბიბლიოთეკათა უმრავლესობას აწუხებს, საჭიროა შეიქმნას სკოლის ბიბლიოთეკათა ასოციაცია განათლებისადამეცნიერების სამინისტროს ბაზაზე, რომელიც დაადგენს გარკვეულ სტანდარტებს, თუ როგორ უნდა იმუშაოს ბიბლიოთეკარმა, რა სახის განათლება უნდა ჰქონდეს მიღებული, როგორი უნდა იყოს გარემო, სადაც ბავშვი იმუშავებს, სად შეიძლება ე. წ. „ჩამონერილი“ წიგნების გაგზავნა, რომ ადგილს აღარ იკავებდნენ სკოლის ბიბლიოთეკის სივრცეში და პრობლემებს არ უქმნიდნენ იქ მომუშავეთა ჯანმრთელობას, რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს იმისათვის,

რომ სკოლის ბიბლიოთეკა აღქმებოდეს ახალი მასალის ინფორმაციის გაცვლისა და გარკვეულ საგანზე ცოდნის გაღრმავების წყაროდ და არა „სადამსჯელო ოთახად“.

იმედია, არსებული ვითარება მალე გამოსწორდება და სკოლის ბიბლიოთეკები აღიდგენენ იმ ფუნქციებს, რომელიც აუცილებელია მოსწავლის განვითარებისათვის და ისინი შეძლებენ დააკმაყოფილონ სკოლის საზოგადოების ყველა წევრის მოთხოვნა. კარგი იქნება, თუ სკოლის დირექცია მეტ ფართსა და თანხას გამოყოფს სკოლის ბიუჯეტიდან ბიბლიოთეკების დასახმარებლად. გვნამს, რომ მაშინ სკოლის ბიბლიოთეკა გახდება ის ადგილი, სადაც ყველას ექნება საშუალება, მიიღოს საჭირო დახმარება და უზრუნველყოს თავისი მოთხოვნილები მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

## დიდი სახელები

ირინა ლორია

# ჯოჰანი ბოკაჩო 700 წლისაა

2013 წელს მსოფლიო ჯოჰანი ბოკაჩოს დაბადების 700 წლისთავს აღნიშნავს. ბოკაჩო იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობითა და შემოქმედებით რადიკალურად შეცვალეს ეპოქის ლიტერატურული სტილი და შინაარსი, წარუშლელი გავლენა მოახდინეს მომდევნო თაობებზე საუკუნეების განმავლობაში.

დაიბადა 1313 წლის მიწურულს პარიზში. დედა წარჩინებული წოდების ფრანგი ქალი იყო, მამა – ტოსკანელი სოფდაგარი. მომავალმა მწერალმა ბავშვობა პარიზსა და ფლორენციაში გაატარა. მის თვალწინ ვითარდებოდა ის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რაც ინკვიზიციის წინააღმდეგ იყო აღძრული, როცა ბნელსა და ნათელს შორის იყო გაჩაღებული შეურიგებელი ომი, რამაც რენესანსის დაბადებას შეუწყო ხელი; ახალგაზრდა ჯოჰანის გონება თავიდანვე მომართული იყო ჰუმანიზმის იდეური მრწამსის აღიარებისათვის. მას არც ერთი ნაბიჯით არ გადაუხვევია ამ გზისათვის, პირიქით – თვითონ იქცა ჰუმანიზმის ეპოქის აპოლოგეტად, რენესანსის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად.

არ გაჰყვა წინაპართა გზას – უარი თქვა კომერსანტის კარიერაზე და სამართლის შესასწავლად ნეაპოლში გაემგზავრა. ბედმა გაუღიმა, რაკი მეფე რობერტ ანჟუელის კართან დაახლოება შეძლო. აქ გაეცნო ის ფრანგულ რაინდულ ზნეობებს, ჩაუღრმავდა ელინურ და ლათინურ კულტურას, შეისწავლა ოვიდიუსის, სენეკასა და ციცერონის, ფრანგი ნოველისტების

შემოქმედებას. იგი, როგორც ჩანს, ადვილად მოექცა მეფის ასულის მარიამ აქვინელის გავლენის სფეროში; სწორედ მისი ზემოქმედებით გადაწყვიტა შეექმნა თავისი პირველი სერიოზული ნაწარმოები – რომანი „ფილოკოლო“ (1336).

1340 წელს ბოკაჩო ფლორენციაში ბრუნდება და მაშინვე იპყრობს ქალაქის მმართველობის ყურადღებას, ასრულებს რამდენიმე დიპლომატიურ დავალებას, მაგარმ, ეტყობა, პოლიტიკური სარბიელი მას არ ხიბლავდა. გაიტაცა ბერძნულ-ლალთინური ხელნაწერების კოლექციების შეგროვებამ, გამუდმებით წერდა პოემებსა და მოთხრობებს, მაგრამ მათი გავრცელება იმ ეპოქაში, როდესაც ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო ევროპაში საბეჭდი დაზგა, საკმაოდ ძნელი იყო. მწერალი განსაკუთრებით დანტეს ეთაყვანებოდა. პირველად სწორედ მან დაწერა მისი ბიოგრაფია, თუმცა არასდროს უცდია წაებაძა მისთვის, პირიქით – სრულიად ახალი პოეტური სტილი და მანერა დაამკვიდრა მწერლობაში. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დანტე ალიგიერის ადრე დამკვიდრებულ სალექსო სტილს „ტერზინა რიმა“-ს, რომლითაც „ღვთაებრივი კომედიაა“ დაწერილი, დაუპირისპირა „ოტტავა ვიმა“-ს რითმული სტილი, რომლის დამკვიდრებასაც მან დიდად შეუწყო ხელი. ბოკაჩოს შემდეგ ეს პოეტური სიახლე საუკუნეების განმავლობაში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული. ბოკაჩოს ამ სტილის დამამკვიდრებლად მიიჩნევენ.

ბოკაჩოს დამსახურებად ითვლება იტალიური

სალაპარაკო ენის ლიტერატურულ ენად ქცევა. მან ერთ-ერთმა პირველმა თქვა უარი ლათინური ენის გამოყენებაზე, რომელიც ერთადერთ ლიტერატურულ და სამეცნიერო ენას წარმოადგენდა მის ეპოქაში და თავისი ნაწარმოებების ენად იტალიურის გამოყენება დაიწყო, რითაც დიდად შეუწყო ხელი იტალიური ენის განვითარებას და ლიტერატურაში მის დამკვიდრებას. ლათინულ კლასიკოსთა შესწავლამ და ტოსკანური (ფლორენციული) ხალხური კილოს ცოდნამ შეაძლებინა ბუნებრივი და მოხდენილი ფრაზებით მეტყველება; მან დიდი წვლილი შეიტანა მოქნილი და მდიდარი იტალიური სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში. იტალიურ პოეზიაში მან პირველმა შექმნა ოქტავებით დაწერილი პოემა („ფიგოლელი ქალები“).

დანტე და პეტრარკა იტალიური პოეზიის მამამთავრები არიან, ბოკაჩო კი იტალიური მხატვრული პროზის ფუძემდებელი. მას მრავალი ნაწარმოები აქვს შექმნილი, რომელიც მხატვრული ღირსებით გამოირჩევა (მოთხრობა „ფიამეტა“, რომლითაც საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიურ რომანს, პოემა „ტესეიდე“, პასტორალი „ამეტო“, პოემა „სიყვარულის ხილვა“ და სხვ.), მაგრამ, რა თქმა უნდა, მწვერვალი „დეკამერონია“, რომელმაც მას უკვდავება დაუმიყვია. ეს რომანი დიდსიახლეს წარმოადგენდა მაშინდელი ლიტერატურული სამყაროსათვის, ბოკაჩო შეგნებულად არიდებდა თავს შუა საუკუნეების რაინდულ თემატიკასა და სტილს და ქმნიდა საერო ლიტერატურას. ის თავის რომანში ყოველიური ამბების ფონზე ავითარებს ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების სამყაროს, იძლევა ცოცხალ, სისხლსავსე პერსონაჟთა სახეებს, რომლებიც სავსებით რეალური ცხოვრების წარმომადგენლები არიან.

„დეკამერონის“ გავლენა უდიდესი იყო არა მარტო იტალიურ, არამედ მთელ ევროპულ ლიტერატურაზე, ჩოსერი და შექსპირიც კი მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ. მისი ნოველები გამოიყენეს ლაფონტენმა, ლესინგმა, მიუსემ და სხვებმა. რომანი ადამიანების ჰუმანური თვისებების ჩვენების ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს. მისი გმირები ჩვეულებრივი ადამიანები არიან – მაღალი თუ დაბალი საზოგადოების წარმომადგენლები: მიჯნურები და არმიყნი, მეძავები და კეთილშობილი ადამიანები, სხვადასხვა ხელობის მოქალაქენი: ხელოსნები, ვაჭრები, მედუქნეები, მღვდლები... ბოროტები და კეთილნი, მართალნი და ცრუები, მშრომელები და უქნარები, ბედნიერნი და უბედურნი... ამ პერსონაჟებში მკითხველი ხშირად საკუთარ თავსაც კი ხედავს ხოლმე.

ბოკაჩო ფართო ჰუმანისტური იდეების



მიუხედავად, თავისებურად მორწმუნე იყო – სკეპტიციზმსა და ორთოდოქს შორის მერყეობდა. მისი ნაწარმოებები, განსაკუთრებით „დეკამერონი“ კი ანტიკლერიკალური და ანტიასკეტური გამოვლენებით გამოირჩევა, მომდევნო წლებში ამის გამო რელიგიის სასტიკ დევნას განიცდიდა. მის სიცოცხლეში ნიგნები სკრიპტორიუმებში ხელით ინერებოდა და ამიტომაც ისინი მრავლად ვერ ვრცელდებოდა, იგი მხოლოდ რჩეულთა ხელში ხვდებოდა, ხოლო შემდეგში, როდესაც საბეჭდი დაზგა ამოქმედდა ევროპაში, ბოკაჩოს რომანი ერთბაშად საყოველთაო საკუთრებად იქცა, მთელ მსოფლიოს მოედო და საეკლესიო ელიტის სამყარო ააფორიაქა, 1497 წელს სავონაროლამ იგი დაწვა, კათოლიკურმა ეკლესიამ თავის „აკრძალულ ნიგნთა ინდექსში“ შეიტანა. ამან თავის მიზანს ვერ მიაღწია – ნაწარმოები ფარულად თუ აშკარად მაინც ვრცელდებოდა და სამღვდლოებამ გადაწყვიტა, ჩასწორებები შეეტანა მასში, მაგრამ პირვანდელი ტექსტი ვერ კიდევ მე-14 საუკუნეში გავრცელდა იტალიის გარეთ და ამგვარად, ეს უდიდესი ლიტერატურული ძეგლი პირველი სახით – შეურყვნელი ტექსტით შემორჩა კაცობრიობას.

ჯოვანი ბოკაჩო გარდაიცვალა 1375 წელს. ის ვერ მოესწრა ბეჭდვის შემოღებას, მისი რომანის მსოფლიო აღიარებას, მაგრამ არ შეიძლება, ვერ შევერძნო ის, რომ იგი „უკვდავების არის ბინადარი“, რაც საუკუნეებმა დაადასტურა.

## კორესპონდენციები

თაა მელაძე

თბილისის №53 ბიბლიოთეკის დარბაზის გამგე

### „ამღერებელი ლექსები“



„წიგნს მკითხველი თანდათან ხელიდან ეცლებაო“, ხშირად გავიგონებთ ამ ფრაზას დღევანდელ საზოგადოებაში. მესამის მათი გულისტკივილი, ისინი მშობლები, აღმზრდელები, აგრეთვე ძველი თაობის წარმომადგენლები არიან, რომელთაც სურთ, რომ ახალგაზრდებს წიგნი მეტად უყვარდეთ. ხშირად მეც შევერთებოვარ მათ გულისტკივილს, მაგრამ მთლად ვერ გავიზიარებ მათ აზრს.

თუ გლდანის უბნის 52-ე და 53-ე ბიბლიოთეკებში შემობრძანდებით, აქ ყოველთვის ნახავთ ამა თუ იმ წიგნით დაინტერესებულ მკითხველს, არა ერთს და ორს. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით ხალისიანი და ხალხმრავალია ბიბლიოთეკა, როდესაც მკითხველთა მიერ შერჩეულ თემაზე ღონისძიებას ვატარებთ. ღონისძიებებს ხშირად ვუძღვნი დიდი ქართველი მოღვაწეების საიუბილეო თარიღებს, თანამედროვე საზოგადოების ღირსეულ წარმომადგენლებს, მაგრამ ამავე დროს გვინდა ჩვენი შემოქმედი მკითხველების წარმოჩენა. გვნამს, რომ ნიჭიერ ადამიანს შემოქმედებით უნარს ჰმატებს კეთილი სიტყვა და მკითხველთა ყურადღება. ერთ-ერთ საღამოზე მოვიწვიეთ ჩვენი და ჩვენი მკითხველის საყვარელი პოეტი – მამა თავმას ჩოხელი, რომელმაც დიდი ხანი არ არის, რაც პირველი პოეტური კრებული გამოსცა. „ამღერებელი ლექსები“ – ასე ჰქვია ამ კრებულს და იგი პოეტმა ქართველ დედებს მიუძღვნა. სიყვარულითა და სითბოთი გამსჭვალული ეს ლექსები ისეთი რიტმულია და მელოდიური,

მართლაც აგამღერებს. აი, როგორ შეაფასა პოეტმა ერეკლე სალღიანმა წიგნის წინასიტყვაობაში მამა თავმასის ლექსები: „მისი პოეზია არის საოცრად ალალი, სუფთა, ისეთივე თავანკარა, როგორიც თვითონ მამა თავმასია, საოცრად ჰგავს მისი ლექსები ავტორს. არაფერი არ არის გამოგონილი მის პოეზიაში. ყველაფერი სულიდან არის ამოხეთქილი...“

მამა თავმასის ლექსები სამშობლოზე, ბუნების მშვენიერებაზე ყველა თაობის ადამიანს დიდი სიყვარულით აღავსებს. სატრფიალო ლექსები ხომ თავისთავად მღერიან.

პოეტის ლექსები ლამაზად, მხატვრულად და თითქმის ხელოვანის ოსტატობით გაახმოვანეს ჩვენმა მკითხველებმა, ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა: ანი ანთაურმა, ნინო ახალაიამ, დავით ჩხაიძემ, ლაშა ლეკვიშვილმა, ლიკა ტერტერაშვილმა, ანა აფხაზიშვილმა, თეონა ნამალაძემ, მოზარდებმა მსმენელთა გულამდე მიიტანეს ლექსები: „სიმღერა საქართველოზე“, „შაჰროხიანო ვაჟაკო“, „გაზაფხულის სიმღერა“, „აყვავებული იასამანი“ და სხვა. დამსწრეთა



აღფრთოვანება გამოიწვია მკითხველის, ანი კახიძის წაკითხულმა ლექსმა „სამასი არაგველი“. საღამოს ესწრებოდა მსახიობი ჯემალ მელქაძე, რომელმაც ლექსის კითხვით დიდად ასიაშოვნა დამსწრე საზოგადოება. დარბაზში ერთმანეთს ენაცვლებოდა ლექსი და სიმღერა მარიამ ჩოხელისა და მისი მეგობრების შესრულებით. თბილმა, შინაურულმა, სიყვარულით აღსავსე საღამომ დიდხანს გასტანა. დასასრულს, მამა თავმასმა წაიკითხა საკუთარი ლექსები, დალოცა მასპინძლები, ბიბლიოთეკები და სრულიად საქართველო.



მანონი სორავა

## გულგუმი ნაშკის განსვით

27 სექტემბერს თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში ამ ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის მიერ გაიმართა შეხვედრა პოეტ ლალი კიკნაძესთან და მისი წიგნის „ღმერთის რწმენის“ წარდგენა. ამ წიგნის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ჩვენი ჟურნალის ამა წლის მესამე ნომერში, როცა ქალბატონი ლალი კიკნაძე თბილისში, თავის მშობლიურ ქალაქში იმყოფებოდა. ის ხომ ემიგრაციაში იმყოფება თითქმის ათი წელია, იქ ცხოვრობს და მოღვაწეობს. სპეციალობით მათემატიკოსია, მაგრამ მისი ყოველმხრივობა საშუალებას აძლევს მას ესპანეთში მყოფ ქართველ ბავშვებს ასწავლოს და მშობლიური ენის და სამშობლოს სიყვარულის განცდის გავლენებს შეუწყოს ხელი.

თვითონ ქ-ნ ლალი უსაზღვროდ დიდი სიყვარულითაა გამსჭვალული სამშობლოსა და მშობლიური კუთხის, აქაური ნათესავებისა და მეგობრობისადმი.

ვიდრე დამსწრენი მთავარ ბიბლიოთეკაში მოედინებოდნენ, ფოიეში როიალს შემოხვეული თბილისის მოსწავლეთა სასახლის გოგონათა მომღერალთა გუნდი, რომელსაც რეგენტი ნანა ცხვარაძე ხელმძღვანელობს, დიდებულ სიმღერებს აუგუნებდა და სულისაღმძვრელ ემოციებს იწვევდა. გოგონებმა ღონისძიების მსვლელობის დროსაც არერთხელ დაატკბეს მსმენელები სიმღერებით.

სალამოს აღნიშნული ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ქალბატონი ცისანა ქორჩიასვილი უძღვებოდა. დასაწყისში მან მოკლედ ილაპარაკა ბიბლიოთეკის სტუმრის, ლალი კიკნაძის შესახებ, მის პიროვნებაზე, სულიერ ძვრებზე, რასაც ის მშობლიურ ქალაქში ჩამოსვლით განიცდის.

ლალი კიკნაძის ცხოვრებისეულ დეტალებზე დანერვილებით ილაპარაკა პროფესორმა, ცნობილმა ბასკელოგმა გრეტა ჩანტლაძე – ბაქრაძემ. ამასთან, ის საფუძვლიანად შეეხო ლექსების პატარა კრებულს, მასში თავმოყრილ ლექსებს, შეაფასა ისინი და თავისი დამოკიდებულება გამოხატა მათ მიმართ. ამას მოყვა

წიგნის ავტორის გამოხსენება. მან სევდანარევი სიხარულით გაუზიარა დამსწრეთ თავისი განცდები, გამოხატა შთაბეჭდილებები, შეეხო თავის წარსულს, ახლანდელ მდგომარეობას, ილაპარაკა საკუთარ შემოქმედებით მოღვაწეობაზე, რის შემდეგ ბევრი ლექსი წაიკითხა როგორც ქართულად დაწერილი, ისე რუსულად შექმნილი, მკითხველთა თხოვნით, ლექსი ესპანურ ენაზეც წაიკითხა. ერთგვარ ზენიტს წარმოადგენდა მის მიერ წაკითხული ლექსი „ვერის უბნის ჩანახატი“. ვერე ავტორის სათაყვანებელი უბანია, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, სადაც ცხოვრობდა.

სალამო უჩვეულოდ გულითად და აქტიურ ვითარებაში მიმდინარეობდა. პოეტს გარს ეხვივნენ მეგობრებ-ნაცნობები, ახლობლები, ნათესავები. ბევრ შეკითხვაზე მოუხდა გაეცა მას პასუხი, ბევრი ამაღლებელი წუთის მოწმენი გახდნენ დამსწრენი. გამოდიოდნენ მოგონებებით, წიგნის შეფასებით, ლექსების ანალიზით. სიტყვით გამოვიდნენ: ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მთავარი რედაქტორი ალექსანდრე ლორია, ალექსანდრე ნეველის ეკლესიის წინამძღვარი მამა ანტონი, ფილოლოგი მანანა სოტიკილავა, პოეტი გურამ ჭავჭავანიძე, ლალი კიკნაძის და პედაგოგი ნანა კიკნაძე. მსახიობი ლამზირა ჩხეიძე: ლექსი წაიკითხა პოეტის დისშვილმა – III კლასის მოსწავლემ რატი ზიზიბაძემ. ბევრი საქებარი რეპლიკა ისმოდა დარბაზიდან.

ღონისძიების დასრულების შემდეგაც დიდხანს არ დამლილა დამსწრეთა დიდი ნაწილი. კვლავ გრძელდებოდა კონტაქტები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ურთიერთსაუბრები. ავტორმა რამდენიმე დამსწრესა და ნაცნობს ავტოგრაფით უსახსოვრა თავისი წიგნები. გამოითქვა სურვილები, ლალი კიკნაძემ, რომელიც კვლავ მიემგზავრება უცხოეთში, არ განწყვიტოს კავშირი ბიბლიოთეკის სალონთან და მჭიდრო კონტაქტები დაამყაროს მასთან.

### ა. ზაღვინიძე

## „თამარს პაქეზდეთ მეფესა“

2013 წ. 6 ნოემბერი ცოცხალი ყვავილებით ლამაზად გაფორმებულ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზში, სადაც კედლების დიდი ნაწილი გამოფენებსა და პლაკატებს აქვს დათმობილი, სალონური სიტუაციაა:

ისმის ეკლესიის ზარების რეკვა და მის ფონზე ახალგაზრდა ყმის ხმა: „შენ ჩემო მინავ ქართულო, ხვთიმშობლის წილო დიდო ვენახო, შენი ორგული და შენი მტერი დიდგორის ველზე მკვდარი მენახოს“... და სამარისებურ სიჩუმეში ისმის ძველი სალამ-ქრო სიმღერა: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარი, თუნდაც ხისაო“... და იგივე მოყმის ხმა – „თამარის დროშა გაშალეს“...

ამ თემატურ ღონისძიებაზე წარმოდგენილია როგორც ლექსი, ისე პროზა:

1. „საქართველო XII საუკუნეში და თამარის მეფობა“ – მოხსენებას დამსწრეთ აც-ნობს ბიბლიოთეკის უფ. ბიბლიოთეკარი ნუნუ ბურჩუკური;

2. „თამარი – ქართულ-ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში“ – თემას კითხულობს ბიბ-ლიოთეკის საინფორმაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ქეთევან დავლაშვილი-რიძე.

თემატურად შერჩეულ ლექსებსა და ნაწყვეტებს პოემებიდან ლამაზად კითხულობენ ნორჩი დეკლამატორები: ფიქრია და ლევან გიგაშვილები, ვანიკო და ლევან მაგ-რაქველიძეები, დაჩი და

გიორგი მელიქიძეები, ზურა თურქაძე.

მთელ ღონისძიებას გასდევს გულში ჩამწვდომი ქართული ხალხური საგმირო თუ სატრფიალო სიმღერების პოპური, რასაც ფანდურზე მიმზიდველად ასრულებენ: ცირა საქიძე, მაგდა ბერიძე და ნანა ცინაძე.

დამსწრე საზოგადოებას ბიბლიოგრაფი გულნარა გელაშვილი აცნობს ბიბლიოთ-ეკის ფონდში დაცულ ისტორიულ, პუბლიცისტურ თუ მხატვრულ ლიტერატურას თამარ-სა და მის ეპოქაზე.

ლიტერატურული საღამო, რომელიც თამარ მეფის წლად გამოცხადებულ ღონისძიების ნაწილი იყო, საინტერესოდ მიმდინარეობდა; ღონისძიების წამყვანი და ორ-განიზატორი ნუნუ ბუჩუკური აღნიშნავს, რომ დღევანდელი საქართველოს ყოფა ბევრად მძიმეა, ვიდრე XII საუკუნისა. დღესაც გვყავს მტერი, რომელიც ყოველ დღე გვართმევს

ტერიტორიებს, გვანოკებს, გვაძევებს საკუთარი ადგილ-მამულიდან და დევნილად გვაქცევს. დღესაც, ვიდრე არასდროს, გვჭირდება ერთმანეთის გატანა და გვერდში დგომა. დახმარება და ღვთის სიყვარული.

ლამაზი მელოდიის ფონზე ისმის ხმა მომავლიდან: „ნუ გაიგლიჯე გული მამულო, ცოტა ხანს კიდევ გასძელი“. ეს ხმა და ეს ბიჭი არის იმედი ჩვენი გადარჩენისა.

ქალბატონი ნინო ბერიძე (ბიბლიოთეკის დირექტორი) მადლობას უხდის დამსწრე საზოგადოებასა და ორგანიზატორებს ლამაზი ღონისძიებისათვის და იტოვებს იმედს, რომ მომავალ წლიდან ბიბლიოთეკის დარბაზი უკეთ გარემონტებული და ტექნიკური საშუალებებით უფრო მეტად აღჭურვილი შეხვდება მკითხველს.

ამ დღეს ბიბლიოთეკამ შეიძინა 20 ახალი მკითხველი და მათზე გაიცა 50 ეგზემპლარი წიგნი.

## მანანა საგანელიძე


თბილისის №42 ბიბლიოთეკის გამგე

# დიდი მოღვაწის პატივსაცემად

ხალხმრავლობა იყო 2013 წლის 25 ოქტომბერს ექვთიმე თაყაიშვილის ბინა-მუზეუმში ვაშლოვანის ქუჩა №6-ში. ღონისძიების ავტორი იყო ქალაქ თბილისის მთავარი ბიბლიოთეკა, ხოლო ორგანიზატორები ლიტერატურული სალონი „საგულისონი“, მთავარი ბიბლიოთეკის დარბაზისა და მკითხველთა მომსახურების სამსახურები. ექვთიმე ღვთისკაცისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უძღვებოდნენ ლიტერატურული სალონი „საგულისონის“ ხელმძღვანელი ქალბატონი ცისანა ქოჩერაშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქალბატონი გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძისა. ღონისძიების მასპინძელი იყო ექვთიმე თაყაიშვილის ბინა-მუზეუმის მეპატრონე ზაზა სიორიძე და მისი მეუღლე ნინო მამარდაშვილი-სიორიძისა, რომელთა ღვაწლი ამ მუზეუმის დაარსებაში განუსაზღვრელია. მათ მიერ არის დაარსებული სახლ-მუზეუმი ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურში, რითაც მათ საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესად წოდებულ პიროვნების სახელი კიდევ უფრო განადიდეს.

ღონისძიებას თან სდევდა ექვთიმე თაყაიშვილის „უკვდავი სული“. აღნიშნულ სახლში მან თავისი ცხოვრების ბოლო ექვსი წელიწადი გაატარა. ღონისძიება ტრადიციულად მრავალფეროვანი, სულიერად და თემატურად დატვირთული და მაღალ ორგანიზაციულ დონეზე იყო შესრულებული. ესწრებოდნენ მთავარი ბიბლიოთეკისა და


ბიბლიოთეკა-ფილიალების თანამშრომლები და აქტიური მკითხველები. სტუმრად მოწვეულები იყვნენ უსინათლოთა საზოგადოების ანსამბლ „კრწანისის“ გუნდის წევრები (ხელმძღვანელი ლოტბარი იური მიქაბერიძე, კონსულტანტი - მომღერალი რამინ მიქაბერიძე), ანსამბლის კონსულტანტია აგრეთვე პოეტი, ხელოვანი და მომღერალი მირზა უკლება. ღონისძიებას თავისებური ხიბლი და სილამაზე შესძინა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ლამაზირა ჩხეიძემ, რომელმაც ღვთისკაცის ხატის წინაშე სანთლებისა და ლოცვის თანხლებით დამსწრეთ მოუთხრო ექვთიმე თაყაიშვილის დასაფლავების გულის შემძვრელი ეპიზოდები და წიკითხა ექვთიმე ღვთისკაცის ტროპარი. თითოეული გამომსვლელის შემდეგ ანსამბლი „კრწანისი“ თემატურად უხამებდა საგალობლებსა და ქართულ ხალხურ პოლიფონიურ მუსიკას. საღამოს თემატურად ესადაგებოდა ექვთიმე თაყაიშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები, რომლებიც წაიკითხეს ელდინო საღარაძემ და მირზა უკლებამ. მათ შემოქმედებაში კარგად გამოჩნდა ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნება და თავდადება საქართველოსა და ქართული კულტურისადმი. საღამოზე თითოეული გამომსვლელი ხაზს უსვამდა ექვთიმე ღვთისკაცის პიროვნებას, მის მოღვაწეობას და უდიდეს დამსახურებას ქართული ხელნაწერებისა და საგანძურის გადარჩენისათვის. საინტერესო მოგონებებით ექვთიმე თაყაიშვილის



შესახებ გამოვიდნენ მასპინძელი ქალბატონები ნინო მამარდაშვილი-სიორიძისა, მანონი ხორავა და სხვები. თბილისის საპატრიო მოქალაქემ რამინ მიქაბერიძემ ფანდურის თანხლებით შეასრულა „სიმღერა სამშობლოზე“, ხოლო ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველმა მარიამ ქაშუშაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ექსკურსიამძღოლობა ქალბატონ გრეტა ჩანტლაძე-ბაქრაძისა, რომელიც დამსწრეებს მოგვითხრობდა არა მარტო ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაზე, არამედ გალობდა ანსამბლ „კრწანისის“ გუნდთან ერთად.

საინტერესო ღონისძიებამ, რომელიც ეძღვნებოდა ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავს, დიდხანს გასტანა, მაგრამ იგი იმდენად შემოქმედებითად დატვირთული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა, რომ დამსწრე საზოგადოებას ენახებოდა ბინა-მუზეუმის



დატოვება. ბოლოს ქალბატონმა ცისანა ქოჩიაშვილმა, მისთვის დამახასიათებელი გულითადობით, მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მონაწილეებს და მომავლისათვის დასახა ღონისძიება ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურში ამ შემდგენლობით გამგზავრებისა.

### ნაირა სარჯველაძე

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი

## ვაჩუჭოტი გავშვებუს სისარული

(ერთი დღე დიღმის სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღში)

უნარი - პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებაა, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სახის მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტურ პირობას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ უნარებს მოკლებულია.

საქართველოში უნარშეზღუდულ ბავშვთა რეალური რაოდენობა არ არის დაზუსტებული, თუმცა მათი რიცხვი არც თუ ისე ცოტაა.

3 დეკემბერს მსოფლიო აღნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელიც 1992 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით იქნა დანესებული. ეს არ არის საზეიმო დღე. ეს არის თარიღი, რომელიც გვახსენებს, რომ უნდა ვიყოთ ტოლერანტულები ჩვენ გარშემო მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანამოქალაქეთა მიმართა.

ამ დღესთან დაკავშირებით 2013 წლის 4 დეკემბერს ქ.თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის (გამგე ინგა არგუტინსკაია) თანამშრომლები ვენციეთ დიღმის სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბაღს. ყველასათვის ნათელია,

რომ უნარშეზღუდულ პირებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს, სჭირდებათ რეაბილიტაცია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის საზოგადოებასთან კომუნიკაცია. ამ მხრივ შესანიშნავი სურათი დაგვხვდა ადგილზე: სითბო და სიყვარული პედაგოგებისა განურჩევლად ყველა ბავშვისადმი.

ჩვენი სტუმრობის მიზანი იყო ერთი ლამაზი დღე გვეჩუქებინა პატარებისათვის. ქალბატონმა ოლიკო ჩიკვაიძემ, ბაგა-ბაღის გამგემ, გულთბილი შეხვედრა მოგვინყო ბიბლიოთეკარებს. ბავშვებს მივუტანეთ ლამაზად დასურათებული





ზღაპრები, სამგანზომილებიანი სათამაშო და სხვა შემეცნებით-გასართობი წიგნები. ბაგა-ბალის პედაგოგებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს ჩენს მიმართ. დაგვითმეს დარბაზი, სადაც მრავალი მაგიდის გარშემო დასხდნენ პატარები და ყურადღებით ათვალერებდნენ წიგნებს, თამაშობდნენ, აწყობდნენ „ფაზლებს“ (დეტალებით ასაწყობი ნახატები), მიუხედავად თავიანთი ფიზიკური მდგომარეობისა, ისინი სწრაფად და სხარტად მიანიშნებდნენ წიგნში გამოსაცნობ ფერთა შეხამებაზე და ციფრებზე. თამაშეს ხელზე წამოსაცმელი თოჯინებით.


ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იყო ჩვეულებრივი, სრულფასოვანი ბავშვების თბილი დამოკიდებულება სმენადაქვეითებულ თანაჯგუფელებისადმი. გვერდიგვერდ მსხდომნი ერთად ფუსფუსებდნენ და ათვალერებდნენ ნახატებს. ერთი სიტყვით, უნდა ითქვას, ამ ბაგა-ბალში სრული ჰარმონია სუფევს. ბავშვებმა გასაოცარი ნიჭი და გონიერება გამოამჟღავნეს, რაც ბაგა-ბალის პედაგოგთა დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. ჩვენც კმაყოფილნი დავრჩით და, რაც მთავარია, ბავშვებმა ძლიერ იხალისეს. პატარები დავასაჩუქრეთ სახატავი რვეულებითა და ფერადი ფანქრებით, ფლომასტერებით, გასაფერადებელი და სტიკერებიან ყურნალებით.

შეხვედრის დასასრულს ისინი გულთბილად დაგვემშვიდობნენ და მომავალში კვლავ მიგვიწვიეს ბალში.

ჩვენ ამ ერთი დღით როდი შემოვიფარგლებით. ლადო ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკამ გადანყვიტა, მომავალშიც ითანამშრომლოს სმენადაქვეითებულ ბავშვთა ბაგა-ბალთან და ბევრი საუკეთესო და სასიხარულო წუთი აჩუქოს ამ ბავშვებს.

2013 წლის 4 დეკემბერი - ეს იყო გულისამაჩუყებელი, იმავდროულად თბილი და სასიამოვნო დღე ბიბლიოთეკარებისათვის, ეს ემოციები დიდხანს გაგვყვება ყველას.





**ბ. სტურუა**

თბილისის №21 ბიბლიოთეკის

მკითხველი – კიბერნეტიკის ინსტ. მეც. თანამშ.

**აკითხველის გულისთქმა**

მინდა რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა ბიბლიოთეკებზე და მათ მდგომარეობაზე საქართველოში. ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ წიგნი ადამიანის უძვირფასესი მეგობარია.

იგი ერთ-ერთი უდიდესი გამოგონებაა, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ცივილიზაციის განვითარებაში. ამბობენ, რომ არსებობს სამყაროს შვიდი საოცრება, წიგნი არის მერვე საოცრება, რომელიც თითოეულ ადამიანს ეძლევა საკუთრებაში. როცა ადამიანი წიგნს ყიდულობს, ის ამ ნუთში ხდება ცოტა უფრო ჭკვიანი და როდესაც ბევრ წიგნს ყიდულობს, აქვს შესაძლებლობა გაჭირვებაში, ძნელბედობის დროს მიიღოს კარგი რჩევა ყველაზე ბრძენი ადამიანებისგან. მაგრამ რიგით ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, არ გააჩნიათ საშუალება, იყიდონ ბევრი კი არა, ერთი წიგნიც კი. მაგრამ რაგინდ შეძლებულიც არ უნდა იყოს ადამიანი, ის ვერ შეჭქმნის ისეთ პირად ბიბლიოთეკას, როგორც არის სახელმწიფო ბიბლიოთეკები, მით უმეტეს, რომ კლასიკოსების წიგნებიც კი ძნელი საშოვნელია. აქედან ცხადი ხდება ბიბლიოთეკების მნიშვნელობა, არა მარტო ეროვნული ბიბლიოთეკის, არამედ უფრო მომცრო რაიონული ბიბლიოთეკებისა. რაიონული ბიბლიოთეკები ძნელ მდგომარეობაში არიან. მათ დამოკლეს მახვილივით ემუქრებათ დახურვა ან, უკეთეს შემთხვევაში, ქალაქის გარეუბნებში გადატანა, ეს იმ დროს, როცა თითქმის ქალაქის ცენტრში განლაგებულია კაზინოები, რესტორნები და კაფეები. №21 ბიბლიოთეკა, რომელშიც მე სისტემატურად დავდივარ, განლაგებულია გორგასალის ქ. №37-ში. რა

თქმა უნდა, მისი კატალოგი ვერ შეედრება ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგს, მაგრამ იმდენად მდიდარია, რომ იშვიათად, მასში არ მოიძებნოს სასურველი წიგნი. რაიონული ბიბლიოთეკები ძალიან მოსახერხებელია, რადგან ახლოს არიან უზნის მოსახლეობასთან და, ეროვნულ ბიბლიოთეკისგან განსხვავებით, შეიძლება წიგნის გამოტანა გარკვეული ვადით და მისი წაკითხვა საკუთარი ბინის სიმყუდროვეში. განსაკუთრებით ძნელ მდგომარეობაში იყო ბიბლიოთეკა ამ ათეული წლის წინ, როდესაც სისტემატურად იყო ლაპარაკი მის დახურვაზე. მაგრამ ბიბლიოთეკის პერსონალი ყველაზე ძნელ დროსაც თავდადებით ასრულებდა თავის მოვალეობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ საყოველთაო გაჭირვების დროს ბიბლიოთეკარები ძალიან მწირი ხელფასის პირობებში ყოველთვის გულითადად ხვდებოდნენ მკითხველებს და ეხმარებოდნენ წიგნის შერჩევაში. ჩვენ ვიცით, რა მწირი იყო პედაგოგების ანაზღაურება, მაგრამ კიდევ უფრო მცირეა ბიბლიოთეკის თანამშრომლების ხელფასები, მაშინ, როდესაც მათ მოღვაწეობას არანაკლები მნიშვნელობა აქვს განათლებისათვის. პედაგოგებიც ხომ ეყრდნობიან ბიბლიოთეკებს.

მე არ შემიძლია მაღლიერებით არ დავასახელო №21 ბიბლიოთეკის პროფესიონალები: ბიბლიოთეკის გამგე, წიგნის დიდი ქომაგი, ღრმადპატივცემული ქალბატონი ზეინაბ ზაქარიაშვილი, მისი ერთგული თანამოაზრეები: უფ. ბიბლიოთეკარი ელენე კოტოვიჩი, ბიბლიოთეკარები: მადონა ალანია, ლია პატარიძე, თეონა გელაშვილი.

ჩვენს დროში, როცა განათლება გამოცხადდა პრიორიტეტად, განათლების მესვეურებს ვთხოვ, მიაქციონ ყურადღება რაიონულ ბიბლიოთეკების მძიმე მდგომარეობას, რადგან ბიბლიოთეკების გარეშე არ არსებობს არავითარი განათლება.

**ლამარა დონდუა**

**კონფერენცია „ჩვენი აფხაზეთი“**

სამტრედიელთა საყვარელი. ადგილი, ინტელიგენტთა კულტურული კერა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაა, სადაც ბევრი საინტერესო ღონისძიება ტარდება. ბიბლიოთეკის თანამშრომლები და მკითხველთა ახალგაზრდული ბირთვი აფხაზეთის ტრაგედიის 20 წლისთავს გამოეხმაურა. დარბაზში მოენყო გამოფენა სათაურით „ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელი, ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი – უსაქართველოდ“ (შ. ნიშნიანიძე).

მკითხველთა კონფერენცია „ჩვენი აფხაზეთი“ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა

ლამარა დუნდუამ გახსნა. საქართველოს ძირძველი და განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთის ისტორიის გახსენებით დაიწყო გამოსვლა ადგილობრივი გაზეთის „სამტრედიის მაცნეს“ პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ. ნიჭიერმა მკითხველებმა (შოთა პაპავა, მარიამ ჩხაიძე, ნინო თადეუმაძე, თამთა ჯულაყიძე, ზიკო ჯინჭარაძე, ზოია ქიშმარეია, ზუკა ინასარიძე, მარი ბოლქვაძე, ნინი აბრამია) შესანიშნავად გადმოსცეს მონტაჟი „ჩვენი აფხაზეთი“.

ფილოლოგმა ნინო ტონიამ აფხაზეთიდან საუკუნის წინ წამოსული ოჯახის წარმომადგენლის, ზაირა გრიგოლიას მაღლიერება გადასცა დამსწრეთ,



პოეტი თემურ ჯულაყიძე: „ჩემს წიგნებში იქნება ეს „ქრისტეს რჩეული მხედრები“.

ყოული შარტავას შესახებ საინტერესო მოგონებებით წარსდგა მკითხველთა წინაშე ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი მაია ბოჭორიშვილი.

ქართველთა დაპირისპირების თემას შეეხო თავის გამოსვლაში მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ თადემაძე: „თუ ერთად დავდგებით, ყველაფერი კარგად იქნება, დავიბრუნებთ აფხაზეთს“.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ემზარ შუბლაძე: „დიდი მადლობა ამ თემის წარმოდგენელებს. მთავარია, ყოველთვის გვახსოვდეს აფხაზეთი, აფხაზებსა და ქართველებს შორის აღდგეს ურთიერთობა და ჩვენ ძალიან მალე

შევიდეთ სოხუმში. მომავალ თაობას უნდა სჯეროდეს ამის“.

ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მსახიობმა მზია ჩიხლაძემ სტუმრებს ის ახალი გამოცემები გააცნო აფხაზეთზე, რომლებიც სამტრედიელმა ქალბატონებმა, წარსულში ამ ბიბლიოთეკის მკითხველებმა, ამჯერად კი პროფესორებმა დებმა ლია და ლალი ახალაძეებმა ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს.

ლონისძიების დასასრულს წარმოდგენილ იქნა ხატი „ყოველთა მწუხარეთა სიხარული“, რომელიც საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაინერა და ქართველთა და აფხაზთა შერიგების სიმბოლოს წარმოდგენს. ლონისძიება დასრულდა ლოცვით „ქართველთა და აფხაზთა მშვიდობისა და ერთობისათვის“!

## ღვანულადი წიგნები

### ბიოგრაფიული წიგნები — 200

ა. ლორია

## ერთი პირველთაგანი

ის ყველსაგან გამორჩეული იყო — აღნაგობით, კეთილშობილებით, იმ დროისათვის შესატყვისი ცოდნითა და ნასწავლულობით, ინტერესებით, ღირსებით, დაუღალავი შრომითა და ჰუმანურობით. დიდხანს არ უცხოვრია — დაიბადა 1813 წელს და გარდაიცვალა 1864 წელს. ნახევარსაუკუნოვანი გზა ძლივს გალია, მაგრამ იმდენი გააკეთა, რამდენსაც სხვა საუკუნეს მოანდომებდა. არ ვიცით, გულმა უგრძნო თუ რა, რომ ცდილობდა ყველაფერი გადაუდებლად გაეკეთებინა, ბევრი რამის ან გამაახლებელი იყო, ან დამწყები, და ისეთ საფუძველს ჩაუყრიდა საქმეს, რომ მასზე ახალი და მტკიცე ნაგებობა აღმოცენდებოდა ხოლმე.

კარგად ესმოდა, მალე საქართველოშიც გადავარდებოდა ბატონყმობა, და არ დააყოვნა, თავად გაანთავისუფლა გლეხები. ამაშიც კი პირველი იყო, პირველი მებატონე, რომელმაც ასეთი ჰუმანური ნაბიჯი გადადგა. ამას წინ არც თუ ხანგრძლივი, მაგრამ დიდი ცხოვრება უძღოდა წინ.

სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (1824–25), შემდეგ მოკლე ხნით მოსკოვში იმალლებდა ცოდნას კერძო პანსეონში.



ეროვნული გრძნობით აღგზნებულ ახალგაზრდას როგორ შეეძლო არ გარეულიყო მეფის რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში 1832 წელს, რაც მას საკმაოდ ძვირად დაუჯდა. 1834 წელს ვილნოში გადასახლეს, სადაც ქვეით დივიზიაში გაამწესეს, მხოლოდ 1838 წელს დართეს ნება მცირე ხნით ჩამოსულიყო სამშობლოში. 1842 წლამდე არ ეღირსა დაბრუნება. მთელი ათი წელი სამშობლოს ნატრული, უცხო ქვეყანას იყო გადახიზნული. თბილისში მსახურობდა ერთხანს სახელმწიფო სამსახურში. 1854 წლიდან სოფელ ხიდისთავში დასახლდა და იქედან

განაგრძო თავისი დაუოკებელი შემოქმედებითი საქმიანობა.

გადასახლებაში ყოფნისას პოლონურ ენას დაენაფა, დაუახლოვდა პოლონელ მოწინავე ოჯახებს, შეინოვა ევროპული ცივილიზაცია. სამშობლოში დაბრუნებული, ცდილობდა ევროპულ კულტურისათვის ეზიარებინა ქართველი საზოგადოება.

ადრინდანვე შეუდგა ლიტერატურულ მოღვაწეობას, თავდაპირველად პოეზიით იყო გატაცებული. მისი პირველი გამოქვეყნებული

ნანარმოები იყო პოემა „ოსური მოთხრობა“, რომელიც „ტფილისის უწყებანის სალიტერატურო ნაწილი“ დაიბეჭდა 1832 წელს, რომელიც შემდეგ სრული სახითა და ახალი სათაურით დაიბეჭდა 1853 წელს – „ზარე და ყანიმათ“ ჟურნალ „ცისკარში“. მისი პოეტური შემოქმედება აღსავსეა პატრიოტული განცდებით („თ. სვიმონ მაჩაბელს“, „უცხო ქვეყნის ჭაბუკს“, „მტკვრისადმი“, „ყაბახისადმი“ და სხვ.). ეს ლექსები ყველა უცხოობაშია დანერგილი და, ცხადია, რა გრძობებიც ამოძრავებდა მის ავტორს. გიორგი ერისთავი, როგორც ქართველ რაინდს, პოეტსა და სვედით მოცულ ადამიანს, შეუძლებელია, სიყვარულის მოტივებსაც არ გაეტაცა („თეოდოსია მირეცკას“, „მოგონება“, „გულს“, „კნიაჟნა დარია ბეგთაბეგოვას“ და სხვ.). მისი ნიჭი იუმორისტულ სარბიელზეც გამოვლინდა, რაც შემდეგში უფრო სრულყოფილად გამოჩნდა მის დრამატურგიაში.

გიორგი ერისთავი ერთ-ერთი მწერალია, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ კრიტიკულ რეალიზმს, მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ კომედიოგრაფიას, ამ საქმეში ნამდვილად პიონერად გვევლინება. მისი ინიციატივითა და ორგანიზაციით დაარსდა საქართველოში პირველად პროფესიული თეატრი, რომელსაც 1850–54 წლებში ხელმძღვანელობდა. მისთვის არც სამსახიბო უნარი იყო უცხო, როგორც ცნობილია, 1850 წლის 14 იანვარს თბილისის გიმნაზიის დარბაზში საქართველოში პირველი თანადროების შესაფერისი თეატრალური დადგმა გაიმართა, რომელიც გიორგი ერისთავმა განახორციელა სცენის მოყვარეთა ძალებით, მისი მონაწილეობით (ასრულებდა ერთ-ერთ მთავარ როლს). დაიდგა მისი კომედია „გაყრა“. დადგმას დიდი მონაწილეობა ხვდა ნილად, რამაც განაპირობა მისი შემდგომი არსებობა. უკვე 1851 წლიდან მოქმედებს გიორგი ერისთავის მიერ ჩამოყალიბებული პირველი ქართული პროფესიული დრამატული დასი. ცნობილია, რა ოფლისღვრა და ჯაფა დაჭირდა თეატრის ხელმძღვანელს, შეეკრიბა დასი, უზრუნველყო მისი მატერიალური პირობები, შეექმნა ტექნიკური საშუალებები, დაეფარა ხარჯები. თავდაპირველად მეფის მთარვობამ დასს ფულადი სუფსიდიც გამოუყო. დარწმუნებული იყო რა, რომ თეატრი ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელი იქნებოდა, მაგრამ ასე რომ არ მოხდა, დახმარება შეუწყვიტა და დასი უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. გიორგი ერისთავს აღარ შეეძლო მისი გაძლოლა და სამუდამოდ გააანება თავი. 1856 წელს თეატრი დაიხურა.

მიუხედავად ამისა, ამ თეატრმა, რომელსაც „გიორგი ერისთავის თეატრად“ მოიხსენიებენ, უდიდესი როლი ითამაშა ქართული თეატრისა და კულტურის ისტორიაში. ამ თეატრს გვერდში ედნენ ქართველი მოღვაწეები: თ. თუმანიშვილი, ი. კერესელიძე, ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი და სხვანი. იდგებოდა როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი პიესები. ამ თეატრის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან მისი დაარსების თარიღი აღინიშნება ქართული

თეატრის დღედ.

გიორგი ერისთავის პირველი კომედია იყო დრამატული პოემა „შეშლილი“ (1839). მართალია, მას დიდი წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ იყო უაღრესად კრიტიკული არსებული სინამდვილის მიმართ, რითაც მიიქცია საზოგადოების ყურადღება. ნამდვილ ფურორული წარმატებას მიაღწია მისმა კომედიებმა „გაყრა“ და „ძუნწი“. ისინი დღესაც იდგმება საქართველოს სხვადასხვა თეატრების ცენაზე. აქ ავტორი ნამდვილ მემატანედ წარმოგვიდგება, რომელმაც შეუღამაზებლად გვიჩვენა სავაჭრო კაპიტალის განვითარება საქართველოში, დაგვიჩაბა ამ საზოგადოების უზნეობის, გაუტანლობის, თვალთმაქცობისა და სხვა სოციალური უსამართლობის სურათები.

გიორგი ერისთავი დაულაღვად მოღვაწეობდა პუბლიცისტიკის დარგში. იყო უმნიშვნელოვანესი წამოწყების მოთავე: სწორედ მაშინ, როდესაც დიდი ხნით შეწყვეტილი იყო საქართველოში პერიოდული ორგანოს გამოცემა, მან ითავა ამ საქმეს ჩადგომოდა სათავეში და დააარსა სალიტერატურო ჟურნალი „ცისკარი“, რომელსაც 1852–53 წლებში თვითონ ხელმძღვანელობდა, ვიდრე ჟურნალი არ დაიხურა. შემდეგში ივანე კერესელიძემ მოახერხა აღედგინა ის და კიდევ რედაქტორობდა მას 1857–1875 წლებში. ამ ჟურნალის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი დიდი ისტორიული ფაქტი, როგორიც „მამათა და შვილთა“ ბრძოლა იყო.

გიორგი ერისთავის არაერთი ნანარმოები გამოქვეყნდა იმდროინდელ პერიოდულ ორგანოებში. აქვეყნებდა როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ლიტერატურას. თარგმნა ა. გრიბოედოვის „უბედური ჭკუისაგან“ („Горько от ума“), რომელსაც სხვადასხვა მთარგმნელები სხვადასხვაგვარად თარგმნიდნენ. ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ვ. პოუგოს, პ. ბერანჟეს, ა. მიცკევიჩისა და სხვათა ნანარმოებები; მას ეკუთვნის აგრეთვე დრამად გადაკეთებული „ვეფხისტყაოსანი“, ლ. ლაფჩინსკისთან ერთად ეს გენიალური პოემა პროზაულად თარგმნა პოლონურ ენაზე.

ეტყობა, დაუდგარი კაცი იყო, მოუსვენარი, დაულაღვი მოღვაწე. 1862 წელს იმოგზაურა ევროპაში. დაიწყო შთაბეჭდილებების გამოქვეყნება – „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელს 13 ივნისიდან“, რომელიც ვერ დაამთავრა. შემოქმედებითი აყვავების ასაკში მიიცვალა, მაგრამ ისეთი დიდი ლიტერატურული და კულტურული ნაღვანი დაგვიტოვა მემკვიდრეობად, მისი სახელი ოქროს ასოებითაა ჩანერილი ქართველი ხალხის ისტორიაში.

#### ლიტერატურა:

- ახალი ქართული ლიტერატურა: ტ. 1. – თბ., 1972.  
 გამეზარდაშვილი დ. ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან: ტ. 1. – თბ., 1974.  
 გერსამია ს. გიორგი ერისთავის თეატრი. – თბ., 1950.  
 გუნია ვ. ქართული თეატრი (1879–1889). – თბ., 1889.  
 მეუნარგია ი. ქართველი მწერლები: ტ. 2. – თბ., 1944.  
 ქართული ლიტერატურის ისტორია: ტ. 3. – თბ., 1969.  
 ქართული მწერლობა: ტ. 10. – თბ., 1995.  
 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია: ტ. 4. – თბ., 1979.  
 ჯიბლაძე გ. კრიტიკული ეტიუდები. – თბ., 1949.

## ნიკო ნიკოლაძე — 170

ლილი გორდელაძე - მიმინოშვილი

*„უფაობზედაი საქმის ჩაქაი...“*



ნიკო ნიკოლაძე ქართველ სამოციანელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო, რომელიც თავისი მახვილგონივრული პუბლიცისტიკით მხარს უმშვენიებდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძლიერ ფიგურას წარმოადგენდა ის იმ სფეროში, რომელშიც მოღვაწეობდა, მონოდების, როგორ სიმალეზე იდგა, ილია და აკაკი რომ მას თავის საიმედო და მოაზროვნე თანამებრძოლად თვლიდნენ.

ნიკო ნიკოლაძე ფართო ერუდიციის, ეროვნული კულტურის მოღვაწე, გასცდა ქართული სივრცეებსა და საზღვრებს, გავიდა რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე. ფართო განათლებისა და რუსულ-ევროპული ენების მცოდნე, ცხოვრების შუაგულში იდგა და უშუალოდ იღებდა მონაწილეობას მიმდინარე პროცესებში. ნიკო ნიკოლაძე ახლოს იდგა მსოფლიოს ისეთ კორიფეებთან, როგორებიც იყვნენ: ჩერნიშევსკი, ოგარიოვი, ჰერცენი, სალტიკოვ-შჩედრინი, მიხაილოვსკი, პოლ ლაფარგი, ლუი ბლანი და სხვანი. ნიკო სტუდენტური მერხიდანვე ეზიარა რუსული და ევროპული კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობას იდეებს და სიკვდილამდე არ განელებია

შემოქმედებითი შემართება და პათოსი.

ნიკო ნიკოლაძე 1843 წ. 27 სექტემბერს დაიბადა ქ. ქუთაისში. ნიკოს ბაბუა სოფ. სკანდეს მკვიდრი იყო. სოფელი თითქმის ნიკოლაძეებით იყო დასახლებული. სწორედ ამ სოფლის დიდი სიყვარულით ნიკომ ფსევდონიმად სკანდელი აირჩია.

ნიკოს ბაბუა მამუკა საკმაოდ მოხერხებული და გაბედული კაცი ყოფილა. იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თავის მებატონეს – აბაშიძეს გაექცა და ქართლს შეაფარა თავი, სადაც იქორწინა ონიაშვილის ქალზე. მასთან შეეძინა შვილები. ერთი მათგანი სწორედ ნიკოს მამა იაკობი გახლდათ. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ნიკოს ბაბუა მამუკა მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და წვრილმან ვაჭრობას მიჰყო ხელი. ერთ დროს ღარიბი გლეხი, მოღონიერდა და საკმაოდ შეძლებული მოქალაქე გახდა. ამაში განსაკუთრებული ნიჭი ნიკოს მამას – იაკობს გამოუჩენია. ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა იაკობი და მისი ძმა გრიგოლი სწრაფად დანიანაურდნენ. ლაიფციგის „იარმმუკაზეც“ მიუღიათ მონაწილეობა, რის შესახებ ნიკო წერს თავის „მოგონებებში“.

1839 წ. იაკობმა იქორწინა დიდი ჯიხაიშელი აზნაურის ფირან ლორთქიფანიძის ასულ ლიზაზე. ნიკოს მშობლები დიდ პატივს სცემდნენ განათლებას და მონადინებულები იყვნენ, რომ თავიანთ შვილებისათვის კარგი სწავლა-აღზრდა მიეცათ. ამიტომაც მშობლები შვილებს ბავშობიდანვე წიგნის კითხვას აჩვენებდნენ. „ამ ჩვეულების მიტოვებას ვერ ველოდით, – იგონებს ნიკო, – კითხვა ჩემთვის საჭიროებას შეადგენდა, იმისთანა საჭიროებას, ურმოლისოდაც გაძლება არ შემეძლო და რაც ჩამივარდებოდა ხელში, უნდა გადამეკითხაო“.

1860 წ. ნიკომ ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა. 1861 წ. კი იგი პეტერბურგს გაემგზავრა და უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოეწყო. ნიკო პეტერბურგში სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. 1861 წ. მან სტუდენტთა ცნობილ გამოსვლებში მიიღო მონაწილეობა, რის გამოც იგი დააპატიმრეს და უნივერსიტეტიდანაც გარიცხეს. ნიკომ ამას ყურადღება არ მიაქცია და ქართული ეროვნული სამოსით თავისუფლად დასეირნობდა პეტერბურგის ქუჩებში. ნიკო პეტერბურგში არალეგალურად ცხოვრობდა აკაკი წერეთელთან ბინაზე.

1862 წ. ნიკო დაბრუნდა საქართველოში და მონაწილეობა მიიღო იმ პერიოდში ძველ



და ახალ თაობას შორის გაჩაღებულ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც ცნობილია „თაობათა შორის“ ბრძოლის სახელით. ნიკომ ცოტა ხანს დაჰყო სამშობლოში და კვლავ პეტერბურგს გაემგზავრა. მალე გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ რედაქტორი გახდა. იგი აქტიურ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მუშაობას ეწევა „სოვრემენიკის“ ფურცლებზე. 1864 წელს პარიზს მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. აქედან იგი შვეიცარიაში გადადის და ციურიხის უნივერსიტეტს ამთავრებს. 1866 წელს ნიკომ ციურიხში გამოსცა თავისი პირველი წიგნი „მთავრობა და ახალი თაობა“. დიდი ერუდიციისა და ბრწყინვალე ნიჭის პატრონი, 1868 წელს იცავს დისერტაციას თემაზე: „განმარაღება და მისი ეკონომიკურ სოციალური შედეგები“. ეს ნაშრომი ითარგმნა ფრანგულ ენაზე და ნ. ნიკოლაძეს მიენიჭა ციურიხის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. ამის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება საქართველოში და იწყებს მთელ რიგ საპროგრამო სტატიების გამოქვეყნებას პოლიტიკასა და ლიტერატურაზე. კარგად გააცნობიერა რა საკუთარი პასუხისმგებლობა თავისი ხალხის წინაშე, მიზნად დაისახა ქვეყნის შემდგომი წინსვლა, გეგმის შემუშავება. ცდილობდა მეტი ეზრუნა ქვეყნის ეკონომიკურ მოწყობაზე. ნიკოლაძის აზრით, საქართველო არცთუ ისე ღარიბი იყო თავისი წედლეულით. საჭირო იყო შრომის ჭკვიანური ორგანიზაცია, საშემსრულებლო დისციპლინა, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

„ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას“. მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ რჩევას. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი ქვეყნები თავისი მცირე ტერიტორიითა და საარსებო რესურსებით, რომლებიც გაცილებით მაღლა იდგნენ ცხოვრების დონის მიხედვით (დანიის, ჰოლანდია, ბელგია და სხვა) თვით რუსეთზეც კი. ამიტომ საქართველოს აღორძინების აუცილებელ პირობად ნიკოლაძემის ეკონომიკურ განვითარებას მიიჩნევდა. ამისათვის კი იგი ქართველებისაგან მუხლჩაუხრელ შრომას, სწავლას, პასუხისმგებლობას, საკუთარ თავზე მუშაობასა და თვითგანათლებას მოითხოვდა. „სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოების, შრომისა და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მენველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია, ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობა“.

ნიკო ნიკოლაძე ხედავდა, რომ ქართველობა მცირერიცხოვანი, უნათესაო და მრავალრიცხოვანი ძლიერი მტრით შემორტყმული ერია და ამიტომაც მოუწოდებდა ქართველობას:

„ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის

ვიზრუნოთ... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ძალას მივენდოთ, მარტო გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიმუშაოთ, – მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“.

ნიკოს მიაჩნდა, რომ ქვეყნის სიყვარული პრაქტიკული საქმეებით უნდა დავამტკიცოთ და არა ცარიელი ლაპარაკითა და სიტყვებით. ჩვენი მამული ისე უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალური მხარით – სამართლიანად ეკონომიკური განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით – მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით“. ნიკო ნიკოლაძემ იცოდა, რომ ყოველი ერის საფუძველი, ძალა და მომავალი, უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით. ერი, რომლის წარმოებაც შეფერხდა და სხვა ქვეყნის წარმოებასთან შედარებით ხეირიანად ვეღარ აჯილდოებს მწარმოებელს, სხვის მსხვერპლადაა გამზადებული. იმან თუ სწრაფად ვერ მოახერხა თავის წარმოების გაუმჯობესება, გაიაფება, გაადვილება და გახვავიანება, მისი საქმე წასული და დაღუპულია... უნდა მოვახერხოთ, რომ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვქნება, ვიდრე გასაზიდი, მონობას ვერ ავიცილებთ“. ნიკო ნიკოლაძემ დიდი წვლილი შეიტანა იმდროინდელ ქართული ეკონომიკის გაძლიერებაში. მან ერთ-ერთმა პირველმა იზრუნა ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ასათვისებლად და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გასაფართოებლად. ერთადერთმა შეძლო დიდი ბრიტანეთის სამეფო ბანკიდან კრედიტის აღება და გაიყვანა შორაპან – ჭიათურის სარკინიგზო ხაზი, რითაც ხელი შეუწყო მანგანუმის გადაზიდვის საქმეს. აქტიურად მონაწილეობდა თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში. მის სახელთანაა ასევე დაკავშირებული ქუთაისის აღმშენებლობა, ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაც კი. ამიტომაც უწოდა არჩილ ჯორჯაძემ ნიკო ნიკოლაძეს „უღმობელი საქმის კაცი“.

ნ. ნიკოლაძის ღვაწლი კიდევ უფრო გაიზარდა, როცა იგი ფოთის ქალაქის თავად დაინიშნა. მან ქ. ფოთის პორტის მშენებლობით საქართველოს ევროპაში ფანჯარა გაუჭრა. კიდევ უფრო დიდია ამ მამულიშვილის ღვაწლი ქვეყნის წინაშე. მან პირველმა წამოაყენა გერმანელ დიპლომატებთან ოფიციალურ საუბარში იდეა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო გზის ფოთზე გატარება, კერძოდ: ბერლინი – ფოთი – პეკინი, რაც დღეს ხორციელდება ევრაზიულ დერეფნისა და აბრეშუმის გზის სახელწოდებით.

დიდმა მამულიშვილმა ქართველ ხალხსა და, კერძოდ, სამშობლოს პოლიტიკურ ანდერძად დაუტოვა:



„ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მრატო ერთი – აზრის სისწორე, სინდისის სიმართლე, გონიერება, საქმის სინმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ, ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტრები, რიცხვითა და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივად დაღუპული იქნება“.

უკიდევანოა ამ დიდი ერუდიტის, გენიოსი ადამიანის ღვაწლი თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ნიკო ნიკოლაძე იყო კაცი – ლეგენდა, რომელსაც უნდა მიბაძონ და ისწავლონ, თუ როგორ უნდა სამშობლოს სიყვარული საქმით და არა სიტყვით. მისიგაკეთებულისაქმეებს ვინჩამოთვლის. იგი 21-ე საუკუნის საქართველოს ადამიანია, დიდი მეურნე, გონიერი და შორსმჭვრეტელი – ასეთი შემოგვინახა საქართველოს უახლესმა ისტორიამ ნიკო ნიკოლაძე. „არასოდეს არ დამვიწყნია სადაც

არ უნდა ვყოფილიყავი – წერს იგი, – ჩვენი ერთი ნამცეცა ქვეყანა, ჩვენი ყველასაგან უცნობი ხალხი, მე ნიადაგ შენზე ვფიქრობდი, რომ სადმე, როგორმე შენთვის ცოტაოდენი სარგებლობა მაინც მომეტანა“.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

გამეზარდაშვილი დ. ნიკო ნიკოლაძე. – თბ., 1983.  
 კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. – თბ., 1964.  
 ნიკოლაძე ნიკო. თხზულებანი: ტ. 1. – 1966; ტ. 5. – 1966.  
 შუბითიძე ვ. ნიკო ნიკოლაძე – კაცი სახელმწიფო.  
 ჯანელიძე ო. უკანასკნელი თერგადალეული. – თბ., 2010; 2011.


**უურნ.:**

ისტორიული მემკვიდრეობა. – 2013/ №6;  
 ტაბულა. – 2011; 2012.

**ქეთევან ნიკურაძე**

*მ. გელოვანის სახ. ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე*

**ქართული დრამატურგიის ელვარება –  
 პოლიკარპე კაკაბაძე  
 (დაბადებიდან 120 წელი)**



პოლიკარპე კაკაბაძე დაიბადა 1893 წლის 23 თებერვალს (2, III) ყოფილი ქუთაისის მაზრის სოფ. კუხში, (დღევანდელ ხობის რაიონში). მწერლის მამა მალხაზ კაკაბაძე წარმოშობით გლეხთა ფენას ეკუთვნოდა. თვითნასწავლი და ფრიად განათლებული იყო. სოფლიდან ბათუმში გადასახლდა და ხე-ტყით ვაჭრობას მიჰყო ხელი. მალე ხე-ტყის მრეწველი გახდა და ბათუმში რამდენიმე სავაჭრო წერტი გახსნა. პოლიკარპეს დედა მარიამ ჭეიშვილი სოფ. ქვიტირის მკვიდრი იყო.

მომავალმა მწერალმა ბავშვობა ბათუმში გაატარა, იგი ჯერ სახლში სწავლობდა კერძო მასწავლებელთან, 1904 წ. ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში შეჰყავთ, სადაც ხუთი წელი დაჰყო. იმის გამო, რომ აქაურმა ჰავამ მისი ჯანმრთელობა შეარყია, იგი ჯერ ქუთაისში გადაჰყავთ, ერთი წლის შემდეგ კი თბილისში ჩამოჰყავთ და კერძო მასწავლებელთა დახმარებით სიმნიფის ატესტატისთვის ამზადებენ. ამაში მას სარგის კაკაბაძე ეხმარებოდა. აქ იგი გაეცნო მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებს, დიდი სარგებლობა მოუტანა ახალგაზრდა პოლიკარპეს განათლებული პირისა და რუსი ინტელიგენტის,

გენერალ ხომენტოვსკის ოჯახში ცხოვრებამაც, სადაც თბილისის მრავალი მოწინავე ინტელიგენტი დაიარებოდა. აქ ხშირად ეწყობოდა პოეზიის საღამოები, დისპუტები, ქველმოქმედებითი ღონისძიებები, რომლებშიც პ. კაკაბაძე აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდა. ამ პერიოდში ჭაბუკი პოლიკარპე დიდად დაინტერესებულა ფილოსოფიით და ესთეტიკით, ამასთან ერთად, წერდა ლექსებსაც.

ყმანვილობის ასაკში პოლიკარპე კაკაბაძე ბევრს მუშაობდა თავის თავზე. უყვარდა ღამით კითხვა, ლოგინთან მაგიდა ედგა და წამოწოლილი მუშაობდა. ერთხელ ღამით კითხვის დროს ჩაეძინა, სანთელი ჩაიწვა და ცეცხლი მოედო ნაწერებს. მთელი მისი ახალგაზრდობის შემოქმედება დაიწვა. შემდგომ ამბობდა, ბევრი აღარ მიდარდია ამის გამო, რადგან მე უკვე ჩემი სათქმელის ამ ლიტერატურული ფორმით გადმოცემა აღარ მაკმაყოფილებდა და დრამის დაწერას ვფიქრობდიო.

სუსტი ჯანმრთელობის მიუხედავად, პოლიკარპე კაკაბაძის სურვილის აღსრულებას, გამგზავრებულიყო საზღვარგარეთ საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ შეუშალა ხელი. ომის პერიოდში (1914-1917 წლები) პოლიკარპე ბათუმში ცხოვრობდა მამასთან და კვლავ განაგრძობდა თვითგანათლებას. ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი ცდები დრამატურგიაში, სწორედ ამ ხანებში შექმნა თავისი პირველი რევოლუციური განწყობის დრამატული ნაწარმოებები „სამი ასული“ და „გზაჯვარედინზე“, რომლებიც ბათუმშივე გააცნო ცნობილ ქართველ რეჟისორს ალ. წუნუნავას, ორი წლის შემდეგ რეჟისორმა ალ. წუნუნავამ პიესა „გზაჯვარედინზე“ ქ. ბაქოში ქართულ და რუსულ ენაზე დადგა, აღსანიშნავია, რომ ეს პიესა დღემდე დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ თეატრმცოდნე გ. ბუხნიკაშვილმა აღმოაჩინა იგი მსხაიოზ ნ. ჯავახიშვილის არქივში. გაირკვა, რომ პიესა ალ. წუნუნავას რეჟისორ ვ. შალიკაშვილს - ნ. ჯავახიშვილის მეუღლისათვის გადაუცია.

ბათუმში ცხოვრების პერიოდში პოლიკარპე კაკაბაძე ხშირად ჩამოდიოდა თბილისში თავის უახლოეს მეგობართან, გამოჩენილ ქართველ მხატვარ დავით კაკაბაძესთან. მან დავით კაკაბაძისა და ივანე ცაგარელის სახით ერთგული და ენერგიული თანამოაზრენი იპოვა; სწორედ ამ ურთიერთობამ და შემოქმედებითმა კავშირმა საფუძველი ჩაუყარა ყოველთვიურ ჟურნალს „შვიდი მთიები“; ეს იყო შესანიშნავად გაფორმებული და უაღრესად საინტერესო ორი სქელტანიანი ნომერი (თვითოეული დიდი ფორმატის - 400 გვერდამდე), რომლის პირველი ნომერი 1918 წლის აპრილში გამოვიდა, მეორე

ნომერი კი - იმავე წლის ოქტომბერში.

ჟურნალ „შვიდი მთიების“, პირველ ნომერში დაიბეჭდა პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „სისხლი სინათლემდე“, რომელსაც მოგვიანებით ატვირთა „გათენების წინ“ უწოდა. ჟურნალის მეორე ნომერში გამოქვეყნდა დრამატურგის პიესა „სამი ასული“ 1918 წლის დამდეგიდან 1923 წლამდე პოლიკარპე კაკაბაძე ბათუმსა და კუხში ცხოვრობს. 1924 წ. იგი მუდმივ საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ თბილისში გადმოდის. მაშინვე ებმება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ამავე წელს მას ნიშნავენ ახალშექმნილი მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის - „მნათობის“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგედ და რედკოლეგიის წევრად. ერთი წლის შემდეგ მწერალი მუშაობას თავს ანებებს ავადმყოფობის გამო და გარკვეულ პერიოდში იძულებულია იცხოვროს აბასთუმანში, შემდეგ ისევ მკვიდრდება თბილისში და პროფესიონალი მწერლის ცხოვრებით ცხოვრობს.

პოლიკარპე კაკაბაძემ ფასდაუდებელი წვლილი დასდო ნაციონალური დრამატურგიის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამდელმა კომედიოგრაფიამ არა ერთი ჩინებული ნიმუში დაგვიტოვა, ქართული კომედიოგრაფიის ჭეშმარიტი გაფურჩქვნა მხოლოდ შემდეგ მოხდა. ამ პერიოდში გადამწყვეტი როლი პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებამ ითამაშა. მისი ხალასი ნიჭიერებით წარმოსახული პიესები ორიგინალური ქართული კომედიოგრაფიის მწვერვალს წარმოადგენს.

თავდაპირველად პოლიკარპე კაკაბაძე შილერისებური მანერით წერს, შემდეგ მის დრამატურგიაში შექსპირისებური მანერა გაბატონდა. პირველ პერიოდში პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედება რაღაც „მსოფლიო“ აქცენტის მატარებელია და მასში ქართულ ეროვნულ ხასიათებს სრულიად ვერ ვხვდებით. მაგალითად, „გზაჯვარედინზე“ რუსულ სინამდვილეს და რუსულ ხასიათებს ასახავს. „სამი ასული“ საერთოდ ეთნიკური კუთვნილების გარეშეა დარჩენილი, ხოლო „ლიბასონის ტუსალების“ მოქმედება ესპანეთში მიმდინარეობს და მთავარი მოქმედი პირნიც ესპანელები არიან. ამ მხრივ პირველი პერიოდის პიესებიდან გამონაკლისია „სისხლი სინათლემდე“, რომელშიც მთავარი მოქმედი პირი ქართველია, ხოლო სამოქმედო ასპარეზად, ნაწილობრივ, ქართული სოფელია მოცემული. „ლისაბონის ტუსალების“ შემდეგ პოლიკარპე კაკაბაძის პიესათა დიდი უმრავლესობა თანამედროვე სინამდვილეს ასახავს. „ყვარყვარე თუთაბერიდან“ დაწყებული, ყველა მისი პიესა ქართულ ნაციონალურ ხასიათს ეფუძნება და ქართული სინამდვილითაა შთაგონებული.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედების

წარმატებებს განაპირობებს რამდენიმე დამახასიათებელი, ნიშანდობრივი გარემოება. პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ მწერლის აქტიური სზოგადოებრივი პოზიცია, რის გამოც მისი შემოქმედება მკითხველსა და მაყურებელს გულგრილს არასოდეს ტოვებს. ისტორიულ წარსულს ეხება თუ თანამედროვე მოვლენებს, დრამატურგი ყოველთვის წინ წამოსწევს სზოგადოებრივად საინტერესო, მძაფრ პრობლემებს, დაპირისპირებულ ძალთა შორის ბრძოლას და კონფლიქტს. კომედიოგრაფი შესანიშნავად ფლობს კომედიური დრამატურგიის ყველა შესაძლებლობას, კომედიის შექმნის თვალსაზრისით, მას ჰყავს წინამორბედები, როგორებიც იყვნენ: გიორგი ერისთავი, დავით კლდიაშვილი, აქვსენტი ცაგარელი და სხვ., მაგრამ პ. კაკაბაძის კომედიები სავსებით განსაკუთრებული და თავისთავად არა მარტო თემატიკით, არამედ მანერითაც და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისითაც.

ტიპების გამოძერწვისა და ჩამოქანდაკების ნიჭი პოლიკარპე კაკაბაძის ის თვისებაა, რითაც მისი პიესების მოქმედი პირნი ხორცს ისხამენ, ცოცხლდებიან და ამით ჩვენზე განსაკუთრებული ძალით ზემოქმედებენ. დრამატურგის საუკესო პიესები ამ დებულების დაბეჯითებითი მტკიცების საფუძველს გვაძლევს. ეს განსაკუთრებით ითქმის „ყვარყვარე თუთაბერსა“ და „კოლმეურნის ქორწინების“ მოქმედ პირთა მისამართით.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებით პიროვნებაში კარგადაა შერწყმული კომედიოგრაფიისა და ტრაგედიის ნიშნები, რაც ესოდენ იშვიათია ლიტერატურულ პრაქტიკაში. მისი ტრაგედიები მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია ქართულ დრამატურგიაში. ღრმა აზროვნება, ემოციური ზემოქმედების ძალა, ბრწყინვალე დრამატურგიული ფორმა – პოლიკარპე კაკაბაძის ტრაგედიების მაღალი დონის მაჩვენებელია.

პოლიკარპე კაკაბაძის ერთ-ერთი საუკეთესო და მონუმენტური ნაწარმოებია „დავით მერვე“, ავტორი მას კომედიას უწოდებს, მაგრამ შეუძლებელია დაეთანხმო ამ პიესის ჟანრის ასეთნაირ განსაზღვრას. მართალია, პიესაში მრავლადაა ჭეშმარიტი კომედიური სიტუაციები, მთლიანად ნაწარმოები ხალასი კომედიური სულით გამოირჩევა და პიესის საფუძველში ჩადებული ამბავიც კომედიური ხასიათისაა, მაგრამ მთლიანად პიესა მაინც ვერ ჩაითვლება კომედიური ჟანრის ნაწარმოებად, „დავით მერვე“ დრამის ჟანრს უფრო განეკუთვნება, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი იდეის ცხადსაყოფად არაიშვიათად იყენებს წმინდა კომიკურ სიტუაციებსა და ხასიათებს, რომელთაგან ზოგიერთი ხალხური იუმორითაა გაჟღერებული. პიესა მთავრდება ადამიანის კეთილი სანყისის გამარჯვებით, დრამატურგმა ამით

ქართველი ხალხის ისტორიის მაგალითზე გვიჩვენა კაცობრიობის ნათელი იდეების – ჭეშმარიტების, სამართლიანობის, ძმობა – ერთობის, მეგობრობისა და სიყვარულის გარდუვალი გამარჯვება და ბნელი ძალების დამარცხება.

პიესას „დიმიტრი მეორე“ თავისებური ადგილი უჭირავს პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში. ეს პიესა, რომელსაც ავტორმა „დრამატული ეპიზოდები“ უწოდა, სხვა დრამატურგიულ ნაწარმოებთაგან განსხვავებით, თეთრ ლექსადაა დაწერილი, ისევე, როგორც „დავით მერვე“, ფილოსოფიური აზროვნებით გამოირჩევა.

სამამულო ომის შემდეგ პოლიკარპე კაკაბაძე ინტენსიურად მუშაობს თანამედროვეობის თემაზე. ზედიზედ ქმნის რამდენიმე პიესას: „შემთხვევა მშენებლობაზე“ (1948 წ.), „ბედნიერი სამჭედლო“ (1952), „ციცინათელა“ (1954) და „პაექრობა“ (1958 წ.), მწერალმა ეს ბოლო სამი პიესა გადაამუშავა და მათ საფუძველზე 1962 წ. შექმნა ახალი პიესა „ცხოვრების ჯარა“.

სიცოცხლის ბოლო ათწლეულში პოლიკარპე კაკაბაძე ინტენსიურად მუშაობდა ისტორიული დრამისა და ტრაგედიის ჟანრში. ამ პერიოდში მან გამოაქვეყნა: „მეფე ვახტანგ პირველი გორგასალი“ (1966 წ.), „მეფე ბაგრატ მეშვიდე“ (1967 წ.), „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (1971 წ.).

პოლიკარპე კაკაბაძემ პირველივე ნაწარმოებებით თავიდანვე მიიპყრო სზოგადოებისა და მაყურებლის ყურადღება, მაგრამ ყველაზე დიდი წარმატება დრამატურგს მოუტანა „ყვარყვარე თუთაბერმა“ და „ხოლობნელმა სარძლომ“ („კოლმეურნის ქორწინება“).

პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ ეროვნულ ნიადაგზე არის აღმოცენებული, თვითონ ყვარყვარეს ხასიათსა და ფიქრებს ქართველ ნაცარქექიასთან ბევრი რამ აერთიანებს და ანათესავებს. მოქმედების ადგილიც, მოვლენებიც, ტიპების ხასიათებიც ზედმინევნით ეროვნულია, მაგრამ ამის მიუხედავად, პიესის იდეა საკაცობრიოა. ამ შესანიშნავი ნაწარმოებით ერთხელ კიდევ ცხადი გახდა, რომ ყოველი საკაცობრიო ჯერ ეროვნულ გზაზე გაივლის და მხოლოდ ამი სშემდეგ მივა საკაცობრიო მწვერვალამდე.

ხშირად ხდება ნაცარქექიასა და ყვარყვარეს შედარება. ნაცარქექია მეოცნებე და უსაქმური, ასეთივეა ყვარყვარე, ნაცარქექია ისეთივე მატყუარა და მოჩვენებითი გმირია, როგორც ყვარყვარე, და მიუხედავად ამისა, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მართალია, ყვარყვარეში ჩვენ ვხედავთ ქართული ზღაპრის ცნობილ ნაცარქექიას, უხსოვარი ხანიდან მოსულს ჩვენს დრომდე, ამიტომ უფრო მოხერხებულს, მაგრამ არა უფრო ჭკვიანს,

უფრო „ცივილიზებული“, „კულტურულ“, მაგრამ არა უფრო დაბრძანებულს. ფოლკლორის ნაცარქექიასთან შედარებით ყვარყვარე ათი თავით მალლა დგას, მაგრამ ნაცარქექიაობას მაინც ვერ იშლის.

„კოლმეურნის ქორწინება“ ჩვენი თანამედროვეობის ამსახველი პირველი ნამდვილად მაღალმხატვრული და მაღალ იდეური ქართული საბჭოთა კომედიაა, რომელშიც მთავარ, წამყვან პერსონაჟებად დადებითი გმირები გვევლინებიან.

„კოლმეურნის ქორწინება“ ეპოქის მხატვრული დოკუმენტია. კომედიის ავტორის დიდი დამსახურებაა ცოცხალი თანამედროვეობის ჩვენება, პ. კაკაბაძე ამ კომედიით არა მარტო დიდი დამაჯერებლობითა და სიმართლით გვიჩვენებს ახალ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მდიდარი შინაარსით ავსებს ნაწარმოებს, არამედ დიდი მხატვრული ოსტატობით და ხელოვნებით გვიხატავს მას. ეს ნაწარმოები იმის ნიმუშია, თუ როგორ ჰარმონიაში უნდა იყოს შინაარსი და ფორმა.

პოლიკარპე კაკაბაძის პიესები დღემდე ინარჩუნებს აქტუალობასა და მიმზიდველობას. პოლიკარპე კაკაბაძემ სიცოცხლეშივე მოიპოვა თანამედროვე კრიტიკისა და საზოგადოების აღიარება. ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე მისი პიესები დიდი წარმატებით იდგმება ქართულ სცენაზე. 1925 წ. რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა დრამა „ლისაბონის ტუსალები“ (რეჟისორი ლ. ანთაძე), იგივე დრამა სათაურით „პორტოპოლოს ტუსალები“ 1964 წელს დადგა რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ. 1929 წ. „ყვარყვარე თუთაბერი“ პირველად დადგა კოტე მარჯვანიშვილმა. ახლებური იყო 1974 წელს რობერტ სტურუას მიერ დადგმული „ყვარყვარე თუთაბერის“ მიხედვით შექმნილია ფილმი „ყვარყვარე“ (1978 წ. რეჟისორი დ. აბაშიძე).

1938 წ. კ. მარჯვანიშვილის სახ. თეატრში შ. ლამბაშიძემ დადგა კომედია „კოლმეურნის ქორწინება“, რომელშიც მეტყველად აისახა ახალი საბჭოთა ადამიანის სულიერი ფორმირების პროცესი.

1957 წ. ქუთაისში რეჟისორმა თ. მაღალაშვილმა დადგა პიესა „კახაბერის ხმალი“, იგივე პიესა დაიდგა 1965 წ. თბილისში კ. მარჯვანიშვილის სახ. თეატრში (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე).

თავისი შემოქმედებით პოლიკარპე კაკაბაძემ ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში ახალი ეტაპი შექმნა, ჩვენი ეპოქის თეატრის განვითარებას მან დიდად შეუნყო ხელი. აამალლა, გაამდიდრა და დაამშვენა ეროვნული რეპერტუარი, ყოველივე ამ გარემოებათა გამო, მან ძალზე მნიშვნელოვანი

ადგილი დაიმკვიდრა ქართული დრამატურგიის ისტორიაში.

პოლიკარპე კაკაბაძე არასოდეს ითხოვდა თავისი წარმატებისთვის დიდებას, ან ფულად ჯილდოს. მისი ოჯახი ყოველთვის ცხოვრობდა მოკრძალებულად. მას ყოველთვის ებრძოდნენ და ყოველთვის იყო მის წინააღმდეგ დასმენები; ჯერ კიდევ 1936 წელს მოინდომეს მისი დაჭერა, პროვოკაცია მოუწყვეს, დაადანაშაულეს იმაში, რომ ჩვენი ისტორია მის ნაწარმოებში ძალიან ცუდად არის წარმოჩენილი, ხალხის როლი არ ჩანს დადებითად. ეს ისეთი ბრალდება იყო, თუ ვერ იმართლებდი თავს, ამას რეპრესიები მოჰყვებოდა. ბოლოს სიტყვით გამოვიდა პოლიკარპე კაკაბაძე და მან ისე ილაპარაკა და ისე გაანადგურა მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება, რომ ხმა აღარავის ჰქონდა ამოსაღები.

დაინყო ახალი გზების ძიება პოლიკარპე კაკაბაძის წინააღმდეგ და ეს გზა გამოინახა 1937 წელს. ამ გზით ბევრი მწერალი დაიჭირეს იმხანად. მწერლებს ხელფასები არ ჰქონდათ და ხშირად ვალს იღებდნენ ხან კინოსტუდიიდან, ხან გამომცემლობებიდან... ამჯერად კაკაბაძის წინააღმდეგ შევიდა ასეთი საჩივარი, რომ ის თითქოს იღებს ვალს და სახელმწიფოს ძარცვავსო. არადა, კაკაბაძემ წინასწარ განსაზღვრა ეს ყოველივე, ის ან არ იღებდა ვალს, თუ იღებდა, იმდენს, რომ მაშინვე დაეფარა. ამიტომ როდესაც ეს ქალაქი შევიდა, მაშინვე ჩამოიარა ყველა დანესებულება და მიიტანა წერილობითი დასტური, რომ არა აქვს არცერთი მანეთი ვალი.

ომის პერიოდში სულ უტრიალებდნენ დასაჭერად, ყოველთვის დიდ შევინროვებაში იყო. 1943 წელს მწერალთა კავშირში შეადგინეს დასახვრეტ მწერალთა ოცკაციანი სია, ეს სია იწყებოდა პოლიკარპე კაკაბაძითა და პავლე ინგოროყვათი. მათ შორის იყვნენ ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე და სხვები. ამას ხელი მოაწერეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ და სამთარვობო პოზიციის გამტარებელმა ბობოლა მწერლებმა.

ბერიას დაკავშირება კონსტანტინე გამსახურდია მოსკოვში და უთქვამს: ასეთი ამბავია და მე ამ სიას ხელს არ ვანერ და თუ ამ ადამიანებს დახვრეტ, დიდი სირცხვილი იქნება, ეს საქციელი არ წაადგება ჩვენს გამარჯვებულ ქვეყანასო. ერთი სიტყვით, ეს მწერლები ამ შემთხვევაში დაინდეს. როგორც ჩანს, საერთაშორისო ასპარეზზე სტალინს და ბერიას ახალი რეპრესიების ტალღა აღარ სჭირდებოდათ.

პოლიკარპე კაკაბაძე გარდაიცვალა 1972 წლის 15 ოქტომბერს, დავით და კონსტანტინეს ხსენების დღეს. ეს წმინდანები მას განსაკუთრებით უყვარდა და სწორედ მათი მოხსენების დღეს შეუერთა თავისი სული მარადისობას.

# ექვთიმე თაყაიშვილი — 150

გულნარა სტურუა

## დიდი მეცნიერი და მოქალაქე



ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმიდან დაბრუნებული კარგა ხანს ვერ ვიოკებდი იმ შთაბეჭდილებებს, რაც ამ მუზეუმში გატარებულმა რამდენიმე საათმა განმაცდევინა! ექვთიმეს გახსენება მოვალეობა და ვალდებულება უნდა იყოს თითოეული ქართველისთვის, რადგანაც მის ხსოვნას სინათლე შემოაქვს ჩვენს სულებში და იგი უკვალოდ როდი ქრება. თურმე აი, აქ – ვერის უბნის ამ პატარა და მყუდრო ქუჩაზე, რომელსაც ვაშლოვანი ჰქვია, მას შემდეგ, რაც პარიზიდან საქართველოში დააბრუნეს უნიკალური საგანძური თავის სასწაულად ერთგულ მცველთან, ექვთიმესთან ერთად, მას საცხოვრებლად ეს ადგილი მიუჩინეს. აი, თურმე აქ გაუტარებია სიცოცხლის უკანასკნელი, არც თუ იმედია და ბედნიერი დღეები ამ დიდბუნებოვან ადამიანს. აქ უნახავთ იგი თავისი მოძველებული მანქანით როგორ დაატარებდა სალალობოდ და გასართობად ამ ქუჩის ბავშვებს, თავად სიხარულმოკლებული, ეს განუმეორებლად კაცთმოყვარე ადამიანი. აი აქ, ვაშლოვანის 6-ში, მეორე სართულზე, რომელიღაც ოთახში, ღარიბულად და არც მაინცდამაინც მყუდროდ (ოთახი არ ყოფილა იზოლირებული სხვა მობინადრეთაგან) ცხოვრობდა სულნათელი ექვთიმე.

ექვთიმე თაყაიშვილის პიროვნების დასახასიათებლად პარიზში გატარებული წლებიც კი საკმარისია, მაგრამ მისი დიდი ცხოვრების ათვლა, პარიზამდე დიდხნით ადრე, ბავშვობიდან იწყება, გურიის იმ პატარა სოფელ ლიხაურიდან, სადაც იგი დაიბადა 1863 წლის 5 იანვარს. ლიხაურში გაიზარდა. გაჩენის დღიდანვე აქ ივსებოდა და იხვეწებოდა მისი სულიერება. ახლობლებისა და ნათესავების, მეზობლების გარემოში, მათი სიტბოთი და თანაგრძნობით იზრდებოდა პატარა, ობოლი ბიჭი, მათი ქმედებებით, ყოფით, ქცევითა და ადამიანურ-ნესებით ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა მისი გონებრივი საწიერი. ესენი იყვნენ: მამიდები, ბიძები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და სოფლის სხვა

მცხოვრებლები. მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: მამის ძმა, 1842 წლის გურიის ცნობილი აჯანყების მონაწილე – ერდიშელი, უმცროსი მამიდა – მკა, ქართული ლიტერატურისა და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო მცოდნე, ოზურგეთის ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი – იოსებ თაყაიშვილი და სხვები. ამ სასწავლებელში ექვთიმე შვიდი წლის ასაკში მიაბარეს. ეს დღე ერთ-ერთი დაუვიწყარი იყო პატარა ექვთიმესთვის, რადგანაც ამ დღისთვის იგი ბიძა-მამიდებმა ახალი ახალუხით, მაუდის ჩოხითა და წულებით შემოსეს. მანამდე პატარა ექვთიმე სულ ფეხშიშველი დადიოდა თურმე. „ეს იყო ბავშვობაში პირველი და უკანასკნელი ხეირიანი ჩაცმა ჩემი: შემდეგ, ზამთარ-ზაფხულს, პარუსინის ბლუზის მეტი არა მცმია რაო“, ივონებს იგი შემდგომში. „პარუსინის ბლუზით“ წაიყვანა ექვთიმე თოვლიანი ზამთრის ერთ დღეს თავისმა უფროსმა ძმამ, ერთი მხრივ სუსხიანი ზამთრის დღის გადატანით და, მეორე მხრივ, თბილად და მოხდენილად ჩაცმული ძმის გულგრილობით.

ქუთაისში ექვთიმე გეგელაშვილების ყურადღებიან და კეთილ ოჯახში მოხვდა. ექვთიმეს მუყაითობამ, გულმოდგინე და განუწყვეტელმა მეცადინეობამ მიიპყრო ამ ოჯახის მესვეურთა ყურადღება. იგი ქუთაისის გიმნაზიაში შესასვლელად ემზადებოდა და ლათინურის სწავლას შეუდგა.

თავდაპირველად ექვთიმე პროგიმნაზიის მეორე კლასში ჩარიცხეს, ძალიან უჭირდა სწავლის გადასახადის გადახდა, მაგრამ გეგელაშვილების ოჯახი აქაც დაეხმარა მას. მალე გიმნაზიის დირექტორმა შენიშნა ექვთიმეს ნიჭიერება, სწავლის გადასახადისაგან გაათავისუფლა და სტიპენდიაც დაუნიშნა.

გიმნაზიაში ექვთიმე ნიკო მარს დაუმეგობრდა. ისინი სულ ერთად იყვნენ, ერთად მეცადინეობდნენ. ამ ყმანვილების გამორჩეულ ნიჭიერებას ამჩნევდა, ხელს უწყობდა და მფარველობდა გიმნაზიის მამონდელი დირექტორი, მკაცრი, მაგრამ კეთილშობილი სტოიანოვი. ქუთაისის გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების (1883) შემდეგ ექვთიმემ სწავლა გააგრძელა პეტერბურგში, ისტორიის ფაკულტეტზე. აქვე, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლა დაიწყო ნიკო მარსაც. ამ დროისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში მრავალი ქართველი სტუდენტი სწავლობდა და თავიანთი სათვისტომოც ჰქონდათ. იღებდნენ თბილისში და ქუთაისში გამომავალ ყურნალ-განუთებს, მსჯელობდნენ სამშობლოს ბედზე, წარსულზე, მომავალზე, იზიარებდნენ ილია ჭავჭავაძის და, საერთოდ, თერგდალეულთა იდეებს. ექვთიმემ ილია ჭავჭავაძე პირადად გაიცნო

მაშინ, როდესაც სტუდენტებმა ლიტერატურულ-დრამატული საღამოს გამართვისას, სამი ათასამდე მანეთი შეაგროვეს და ამ ფულით მიზნობრივად დახარჯვაზე ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იმ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, რჩევა სთხოვეს. ილიამ სტუდენტები დაარწმუნა, რომ თანხა საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის გადაეცათ. აი ასეთი იყო პეტერბურგში სამოღვაწეოდ თუ სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდების განწყობა და დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი.

1887 წელს ჩამოვიდა ექვთიმე საქართველოში და თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ეს ის დროა, როდესაც რუსეთის რეჟიმი განსაკუთრებული სისასტიკით ებრძოდა თვითმპყრობელობის დამანგრეველ ძალებს, მაგრამ რაც უფრო მძაფრდებოდა რუსეთის იმპერიალისტური რეაქცია, მით უფრო მეტად ჩაღებოდა საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება. სამშობლოს ბედმა და მომავალმა განსაკუთრებული ღირებულება შეიძინა ქართველი საზოგადოებისათვის. ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაზე უწინარეს გამოზრუნყინდა დავინწყებული სიტყვა „მამული“... რომელიც უამთა ვითარებამ უძრავი ქონების სახელამდე დააქვეითა და დაამდაბლა... ვინა ვართ და რანი ვართ – ამ ზღვაებზე ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა“. ამ პერიოდში აყალიბებს სახელოვანი მოღვაწე და მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლის გეგმას. ამ დროს ქართულ ინტელექტუალურ სამყაროს მოველინა ყოველმხრივ განათლებული და მომზადებული მოღვაწე ექვთიმე თაყაიშვილი, იგი მალევე შეიყვანეს ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში. ამ საზოგადოების ფონდში ექვთიმე გაეცნო ძვირფას ხელნაწერებს, მაგრამ აქ ყველა ხელნაწერი როდი იყო. საქართველოს ბოროტარი ისტორიის მანძილზე უამრავი ისტორიული წყარო განადგურდა, მაგრამ ის, რაც გადაარჩა, სად არ იყო გაბნეული: ეკლესიებში, ოჯახებში, მტრების ხელყოფისაგან დასაცავად. ზოგი, მინაშიც იყო ჩაფლული, ბევრი მნიშვნელოვანი მასალა საზღვარგარეთაც გაეტანათ სხვადასხვა მიზნისა და მიზეზების გამო. ექვთიმემ წერა-კითხვის საზოგადოებაში დაცული ხელნაწერების აღწერა და მათი კატალოგების შედგენა დაიწყო, რათა ისინი ხელმისაწვდომი გამხდარიყო მკვლევართათვის, ხოლო გაბნეული მასალები, წერილობითი წყაროები თუ საქართველოს ისტორიის შესადგენად და შესასწავლად გამოსადეგი და მნიშვნელოვანი ნივთები მოსაძიებელი იყო ყველგან: სოფლებში, ქალაქებში, ოჯახებში და საზღვარგარეთაც კი. ამ მიმე საქმის შესრულებაც დაისახა მიზნად.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნითა და გამოცდილებით ექვთიმემ ხელი მოჰკიდა წყაროთმცოდნეობას და ამ დარგში ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან მასალად მიიჩნია „ქართლის ცხოვრების“ არსებული ყველა ტექსტი. 1906 წელს ექვთიმემ გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ ყველაზე ძველი მარიამისეული ნუსხა. ზოგადად, „ქართლის

ცხოვრებაზე“ მომუშავე მის წინაპარ მკვლევარებს (მაგ. ვახტანგის მკვლევართა ჯგუფის ნამუშევარს) მან ნარკვევები მიუძღვნა.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ექვთიმე ეწეოდა საოცარ შრომას არა მარტო საქართველოს ისტორიის წყაროებზე, ძველ ხელნაწერებზე და ბევრი მათგანის აღმოჩენაზე. მათ გაანალიზებდა, არამედ ეპიგრაფიკაზე, მის სწორად წაკითხვა-გამოქვეყნებაზე, დაცვასა და შენახვაზე. ასევე იღვწოდა იგი პალეოგრაფიაში, „მან ფუტკარივით წვეთ-წვეთად შეკრიბა საქართველოს მინა-წყალზე გაბნეული ძველი ქართული წარწერები და, შეიძლება ითქვას, პირველმა წარმოაჩინა ქართველთა მიერ ქვაზე და ლითონზე აღბეჭდილი მწერლობის სრული სიმდიდრე...“ ასევე ფასდაუდებელია ექვთიმეს შრომა არქეოლოგიურ ექსპედიციებში. მას არ დარჩენია საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც საკუთარი თვალთ არ ენახა ქართული არქიტექტურის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი, არ ეცადა ამოეკითხა ყველა მნიშვნელოვანი წარწერა და, თუ რაიმე ნამოსაღებ ნივთს ნახავდა და მიაგნებდა, მოჰქონდა, რათა შეენირა ქართული მუზეუმისათვის.

ქართული ხელოვნების ისტორიისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამხრეთ საქართველოში ჩატარებულ ექსპედიციებს. იშხანის, ბანას, პარხალის, ოთხთა ეკლესიის ექვთიმესეული აღწერილობანი ყველაზე სრულყოფილ მასალას აძლევს ქართველ ხელოვნებათმცოდნეებს. ექვთიმემ არა მარტო აღწერდა საქართველოს ხუროთმოძღვრების ძველ ნიმუშებს, არამედ აანალიზებდა და კომენტარს უკეთებდა თითოეულ მათგანს. აგროვებდა მათზე ფოტო მასალებს. ლეჩხუმ-სვანეთში მოგზაურობის შედეგად გადაიღო 800-მდე საგნის ფოტო, ხოლო, სულ მთლიანად, ამ მხარეში აღწერა ხელოვნების 100-მდე საგანი. (ამ ნამუშევართა საფუძველზე 1924 წელს თბილისის უნივერსიტეტმა გამოსცა „ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი“).

დიდი შრომა აქვს ექვთიმეს განუღი ეთნოგრაფიაში. ის იყო მომავალი ქართული ეთნოგრაფიული მუზეუმის პირველი კოლექციების შემგროვებელი. ყოველი ექსპედიციის დროს იწერდა ხალხურ გადმოცემას, აღწერდა ამა თუ იმ სოფლის მცხოვრებელთა ზნე-ჩვეულებებს, თქმულებებს და სხვა.

ცალკე თავები ეძღვნება ექვთიმეს მოღვაწეობას ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, ფოლკლორისტიკაში, ნუმისმატიკაში, ისტორიული გეოგრაფიის საფუძვლის ჩაყრაში. განუზომლად დიდია ზემოჩამოთვლილ სამეცნიერო დარგებში ექვთიმეს ღვაწლი საქართველოს (არა მარტო საქართველოსა), და ქართული მეცნიერების წინაშე, მაგრამ ხომ შეიძლება მას, როგორც ადამიანს, ყოფით ცხოვრებაში ჰქონოდა ადამიანური სისუსტეები? რა თქმა უნდა! მაგრამ ექვთიმე აი, აქაც წარმოგვიდგება როგორც დიდი, გაუტყელები და შეუდრეკელი ადამიანი. ბედისწერამ თუ განგებამ უცნაური განსაცდელი მოუვლინა ჩვენს სასიქადულო მეცნიერს, გამომამუღავნა იგი და წარუდგინა ქართველ ხალხს როგორც დიდი მოქალაქე,

სამშობლოსათვის თავდადებული მოღვაწე, დიდი მორალთა და ზნეობით გამორჩეული ადამიანი- ზეკაცი! 25 წელი საფრანგეთში, თავისი საყვარელი სამშობლოსაგან მოცილებულს, მოსიყვარულე ნათესავებისაგან, მეგობრებისა და ხალხისაგან ჩამომორებულს, უკიდურეს გაჭირვებასა და ხელმოკლეობაში მყოფს, ბედმა არგუნა 39 სკივრში ჩალაგებული უძვირფასესი განძეულობის მოვლა- პატრონობა. იმ განძეულობისა, რომელიც მის სანუკვარ საქართველოს ეკუთვნოდა და რომლის გამდიდრება-გამრავლფეროვნებას მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოანდომა. ობოლსა და მარტოსულს, საყვარელი მეუღლეც ხელიდან გამოეცალა! მშვიერსა და მწყურვალს ათასი მაცდური უცხოელი შემოხვეოდა, ერთი პატარა ნაბიჯი და იგი მდიდარი და უზრუნველყოფილი კაცი გახდებოდა, მაგრამ არავინ იცოდა, ვისთანა ჰქონდათ საქმე! ეს ექვთიმეა, წმინდა კაცი, ქართველ ხალხს ღმერთმა რომ გამოუგზავნა სამშობლოს ისტორიის გადასარჩენად. ღვთის წყალობით დაუბრუნდა საქართველოს ექვთიმეც და განძეულობაც.

შვიდი წელი იცხოვრა სამშობლოში საფრანგეთიდან-დაბრუნებულმა წმინდანმა და ეს ცხოვრებაც დიდი იყო, ძალიან დიდი, მაგრამ რთული და ეკლიანი. მხოლოდ 50 ახლობელმა ადამიანმა მიაცილა სამარემდეო. 25 წელიწადი საზღვარგარეთ, კაპიტალისტურ ქვეყანაში ნაცხოვრებ კაცს არ ენდობოდა კომუნისტურ იმ თარვობა და დაკრძალვის რიტუალზე ხალხის სიმციროს მიზეზიც ეს იყო

უთუოდ! მაგრამ დიდი ექვთიმესადმი პატივისცემა დაძლია შიში და უნივერსიტეტის წინ, სამგლოვიარო პროცესის ჩავლისას, მთელი უნივერსიტეტი გამოფენილა და დუმილითა და უსიტყვო მწუხარებით გაუცილებიათ თურმე დიდი ექვთიმე უკანასკნელ გზაზე.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ არ განელებულა ქართველი ხალხის დიდი პატივისცემა და დიდი სიყვარული ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმესადმი. ჩვენ ყველანი, ვამაყობთ დიდი მეცნიერით და ვისაც როგორ შეგვიძლია პატივისცემით მას. ამ სიყვარულის და პატივისცემის შედეგია ექვთიმეს სახლმუზეუმის შექმნის ისტორია. ჩვენმა თანამედროვეებმა, სამშობლოს ისტორიის, ქართული მეცნიერების დამფასებელმა და მოამაგე ადამიანებმა, ქველმოქმედებმა ცოლ-ქმარმა - ნინო და ძაძა სიორიძეებმა, გაიგეს რა მის მიერ შესყიდული შენობის მეორე სართულზე ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების ბოლო წლების გატარების შესახებ, უყოყმანოდ შეუდგნენ ამ ბინის დიდი ექვთიმეს სახლ-მუზეუმად გადაკეთებას, მეცნიერის ნივთების მოძიება-მოგროვებას და ყველაფერი ეს უშურველად ჩვენ, ქართველ ხალხს გვარჩუქეს. სამაგალითო ექვთიმე თაყაიშვილს სამაგალითო, ერთგული თაყვანისმცემლებიც ჰყავს ქართველი ხალხის სახით. გაუმარჯოს ქველმოქმედ ქართველ ხალხს! სამარადყამო დიდება ექვთიმეს!

## იუბილე

### ლალი ჩხაიძე

ლანჩხუთის ც.ბ. დირექტორის მოადგილე

## ლანჩხუთის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაფუძნება

როდესაც ლანჩხუთის ცენტრალური ბიბლიოთეკის ისტორიას გადავხედავთ, არ შეიძლება მოკრძალებით და მოწინებით არ გავიხსენოთ ის ადამიანები, რომლებმაც ლანჩხუთის ცენტრალური ბიბლიოთეკის ისტორია შექმნეს და რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით მისი განათლების მნიშვნელოვან კერად ჩამოყალიბების საქმეში. სწორედ ასეთი გახლავთ ქალბატონი ჯანიკო ტყეშელაშვილი. იგი 42 წელი ხელმძღვანელობდა ცენტრალურ ბიბლიოთეკას. მისი დიდი შრომის, ბრძოლის და თავდადების შედეგია, რომ ბიბლიოთეკის ნიგნსაცავმა დღემდე მოაღწია. ქალბატონი ჯანიკო დიდ ინტერესს იჩენდა დარგისადმი. მისი მოღვაწეობა ამ სფეროში წარმატებული იყო. პროფესიის კარგი ცოდნა მას საშუალებას აძლევდა, მიზანმიმართულად წარემართა ბიბლიოთეკის საქმიანობა. ის დაულალავად მუშაობდა დარგის სპეციალისტებთან და უანგაროდ ეხმარებოდა მათ







საქმიანობაში. ყოველივე ამან განაპირობა მისდამი დიდი სიყვარული და პატივისცემა, რითაც იგი კოლეგებსა და მკითხველ სზაოგადობას შორის სარგებლობდა. მიუხედავად სირთულეებისა, მას არასოდეს დაუკარგავს სულიერი სიმზნევე.

2005 წელს რაიონის სინამდვილეში ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკების კეთილმოწყობილ შენობაში გადასვლა იყო. სწორედ ახალი შენობის გახსნის დღეს საზეიმოდ გაცვილეს პენსიაზე დირექტორი ჯანიკო ტყემელაშვილი. „ჩემი პირველი თხოვნა იყო, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკის მატერიალური პირობები გაუმჯობესებულიყო, დღეს მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ახალი ბიბლიოთეკა გვაქვს.

მინდა დავემშვიდობო ბიბლიოთეკას, საყვარელ წიგნებს, თანამშრომლებს, რომლებიც ნამდვილად გააგრძელებენ ჩემს დაწყებულ საქმიანობას“ – თქვა ქალბატონმა ჯანიკომ. იმ საზეიმო დღეს ძალიან ბევრი სამადლობელი სიტყვა ითქვა მის მიმართ.

მისი საქმიანობა ყოველთვის იყო და არის დაკავშირებული ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებასთან. ის ყოვერთვის გამოირჩეოდა საუკეთესო დონისძიებების ორგანიზაციით, მკითხველთა შორის ავტორიტეტის ამაღლებით, თავდადებული და ერთგული მუშაკების დაფასებით. მისი მცდელობით დღეს აქ ღირსეული პროფესიონალები მოღვაწეობენ.

ინფორმაცია

# მამულზე ზრუნვის ნიშნით

მიმდინარე წლის ივლისში თბილისში დაფუძნდა „ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი“. „ფონდის“ დამფუძნებლები არიან ქართველი მოღვაწეები: გურამ ალექსიძე, მერაბ ძნელაძე, თამარ ხოხობაშვილი, ირაკლი ძნელაძე, ანდრო გოგოლაძე, მიხეილ ქავთარია, გიორგი (გიგა) ბათიაშვილი, ზურაბ ბრელიძე. ფონდის პრეზიდენცია მერაბ ძნელაძე, გენერალური დირექტორი – ანდრო გოგოლაძე.

ფონდის საპატიო პრეზიდენცია – გიორგი მარგველაშვილი.

როგორც გამოცხადებულია „ფონდის“ სამოქმედო პროგრამაში, იგი „მონოდებულია, ხელი შეუწყოს და იღვანოს: დაიცვას ენა, მამული და სარწმუნოება. საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ იზრუნოს ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენისა და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის“. გარდა ამისა, „ფონდი“ მიზნად ისახავს იზრუნოს, რათა შეიქმნას ტაძრებში მოღვაწე სასულიერო და საერო პირებისათვის სამედიცინო უზრუნვე-

ლყოფის პროგრამები, მონასტრებთან არსებული ამჟამად დაცარიელებული სოფლების აღდგენისა და დასახლებისათვის ითანამშრომლოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დაენმაროს ოჯახებს დემოგრაფიულ და სამართლებრივ პრობლემების გადაწყვეტაში.

„ფონდს“ განზრახული აქვს, თავისი ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, შეიძინოს სასოფლო-სამეურნეო მიწები და შენობა-ნაგებობები საეკლესიო-სამონასტრო მეურნეობისა და რიგი შემოქმედებითი სახელოსნოების შექმნისათვის; იღვანოს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულების განვითარებისათვის, შეისწავლოს წმინდა მოღვაწეთა ამსახველი ცხოვრება, რისთვისაც მჭიდრო ურთიერთობას დაამყარებს მეცნიერებასთან. გათვალისწინებულია ასევე მოღვაწეობა უცხოეთში ქართული სკოლების გახსნის ხელშეწყობისათვის.

„ფონდს“ გეგმაში აქვს სრულიად საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიებში აღწეროს ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლები, იქ არსებული მნიშვნელოვანი სიმნიშვნელები და მოამზადოს ნაშრომები ინ-

*ქართული ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი*



„ენა, მამული, სარწმუნოება“

ქ. თბილისი, 05 ივლისი 2013 წელი

saadgilmamulo@gmail.com



ტერმენტში განსათავსებლად; ითანამშრომლოს საქართველოს გარეთ არსებულ კულტურულ ეროვნულ ცენტრებთან და სახელმწიფოს წარმომადგენლებთან.

„ფონდი“ მსოფლიოს ხალხთა ხელოვნების, ტრადიციებისა და ისტორიის გაცნობისათვის დაგეგმავს სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებების ჩატარებას.

„ფონდს“ მიღებული აქვს თავისი წესდება, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოს მიერ.

თავისი მიზნების და სხვა საორგანიზაციო საკითხების გასაცნობად „ფონდმა“ გამოაქვეყნა მასალები გამოცემაში: „ქართული ტაძარ-მონას-

ტრების აღმშენებლობის, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და საადგილმამულო ბანკის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი“ (თბ., 2013), რომელსაც წამდღვარებული აქვს „ფონდის“ საპატიო პრეზიდენტის ან განსვენებული – ბერი დავითის – ჭაბუა ამირეჯიბის მიმართვა საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორისადმი, რათა მან დალოცოს ახალშექმნილი „ფონდი“ და მისი დამფუძნებელი.

**დანვრილებითი ცნობების მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ დასახვლებულ გამოცემას ან მოიძიონ ის ინტერნეტში: saadgilmamvlo@gmail.com.**

## დამოუკიდებლობის გამოსხადების უამდაბ

სტივენ ჯონსს ჩვენი მკითხველი ადრე გაეცნო ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან, როდესაც მისი წიგნი „სოციალიზმი ქართულ ფერებში“ წარმოვადგინეთ. ამჟამად ხელთ გვაქვს მისი კაპიტალური ნაშრომი „საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების

რედაქტორია მარინე ჩიტაშვილი. წიგნი საკმაო მოცულობისაა – შეიცავს 456 გვერდს, ახლავს ფოტომასალა, გამოირჩევა დიზაინის მაღალი დონით. დასაწყისში დართული აქვს მოკლე ცნობა ავტორის შესახებ.

საკმაოდ რთულ ანოტაციაში დამაკმაყოფილებლადაა გაშუქებული ნაშრომის არსი. როგორც აქ ნათქვამია, ის წარმოადგენს სინთეზურ ანალიზს, რომელშიც გამოყენებულია ადგილობრივი და საერთაშორისო რესურსები, ასზე მეტი პირადი ინტერვიუ მინისტრებთან, პრეზიდენტებთან, ელჩებთან ქვეყნის მართვის ა და განვითარების პროცესებში მონაწილე წამყვან პოლიტიკურ პირებთან.

ნაშრომს წინ უძღვის ავტორის სამადლობელი განცხადება იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც დევანი მიუძღვით მისი შრომის შექმნაში და რომლებიც მას ამ შრომას უმსუბუქებდნენ. შემდეგ ის იძლევა განმარტებებს ტერმინებსა და ტრანსლიტერაციასთან დაკავშირებით; წამდღვარებულია საქართველოს 3 სხვადასხვა თემატური რუქა. რასაც მოსდევს მთელი ნაშრომის შესავალი.

წიგნი 2 ნაწილისა და 9 პარაგრაფისაგან შედგება. პირველი ნაწილი დასათაურებულია: „საუკეთესო დროება იდგა და, ამავდროულად ცუდზე უარესი: 1985–1995“; მეორე – „სახელმწიფო და საზოგადოება“. დაერთვის „შემაჯამებელი მოსაზრებები“, „მოვლენათა ქრონოლოგია: 1985–2011“, „შენიშვნები“, „ბიბლიოგრაფია“.

როგორც ანოტაციაშია ნათქვამი: „აღნიშნული წიგნის ქართული გამოცემა დაეხმარება ფართო საზოგადოებას, რათა მან მიუკერძოებლად შეხედოს ქვეყანაში დამოუკიდებლობის წლებში მიმდინარე პროცესებს, გაეცნოს ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებულ კვლევასა და არსებული სიტუაციის მრავალსპექტრიან განხილვას“.



შემდეგ, იგი ორიგინალში – ინგლისურად დაიბეჭდა გამომცემლობა „I. B. TAVNISQ CO LTD“ –ს მიერ, მიმდინარე წელს. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრმა იგი ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა. თარგმანი შეასრულა ხათუნა ჩხეიძემ; სამეცნიერო

## რევიუ

დავით გიგინეიშვილი

## „კაფე ციმერმანი“ ზალსბურგში

მე-XVIII საუკუნის დასაწყისში გერმანიის ქალაქ ლაიფციგში იმდროინდელმა ვაჭარმა გოტფრიდ ციმერმანმა თავისი სავაჭრო საქმიანობის გასაუმჯობესებლად წმინდა კატერინის ქუჩაზე გახსნილ საკუთარ კაფეს სახლში „კაფე ციმერმანი“ ზამთრის სეზონში კვირაში ერთხელ მუსიკალური საღამოების გამართვა დაიწყო. ზაფხულში კი ასეთი საღამოები გააგრძელა ქალაქგარეთ, სახელგანთქმული ლაიფციგის ბაღებში, რითაც მუსიკოსებს საშუალება მიეცათ საკუთარი ნაწარმოებები შესრულებინათ, ხოლო დამსწრე საზოგადოებას, მუსიკის მოსმენასთან ერთად, ცხელი ყავისა და ტკბილის დაგემოვნება შეეძლოთ. მოგვიანებით, ცნობილი კომპოზიტორის ტელემანის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში დაარსებულმა ორკესტრმა „ჩოლლეგიუმ უსიცუმ“ თავი დაიმკვიდრა ამ კაფეში, ხოლო 1729 წლიდან იოჰან სებასტიანი ბახი ხდება ამ საღამოების ნამდვილი გმირი. როგორც შემორჩენილი წყაროებიდან არის ცნობილი, ორკესტრი ზოგჯერ 40-დე მუსიკოსსაც აერთიანებდა და შედგებოდა ძირითადად ახალგაზრდა ადგილობრივი მუსიკოსებისაგან. ორკესტრი აგრეთვე ძლიერდებოდა ცნობილი ინსტრუმენტალისტებისა და ვოკალისტების მიერ, რომლებიც გასტროლებზე ჩამოდიოდნენ ლაიფციგში. დღეს მკვლევარები და მუსიკის მოყვარულები ვარაუდობენ, როგორ შეიძლებოდა ჩატარებულიყო ეს საღამოები, რას ასრულებდა ბახი და რამდენად თავისუფალი და იმპროვიზირებული იყო მუსიკის შესრულება. დიდი ალბათობით, ბახს მიეცემოდა საშუალება, ამ საღამოებისათვის დაენერა და წარმოედგინა მსმენელის წინაშე საერო კანტატები, მათ შორის, სახელგანთქმული „ყავის კანტატა“ (BWV211) და ასევე მრავალი კონცერტი ცალკეული ინსტრუმენტებისათვის, კერძოდ, კლავესინისათვის.

ციმერმანი თავის საქმის სასარგებლოდ არც მუსიკოსებსა და არც შემოსულ სტუმარს მუსიკის მოსმენისთვის არაფერს ართმევდა. ეს კაფეში გახსნილი ატმოსფეროს შექმნისა და შემსრულებლების მხრიდან ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა. მუსიკოსები გაბედულად შიმართავდნენ იმპროვიზაციას, რაც საღამოებს დაუფინყარ ელფერს აძლევდა. ამ კონცერტებში ბახი გამოდის როგორც კაპელმასტერი და ზოგჯერ კლავესინზე შემსრულებელიც.

1999 წელს საფრანგეთში ყალიბდება კამერული ორკესტრი სახელწოდებით – „კაფე ციმერმანი ჩაფლ დიმერმანს“, რომელიც მიზნად ისახავს შეასრულოს ბაროკო ეპოქის, კერძოდ, ბახის კონცერტები და რეკონსტრუქცია მოახდინოს იმ ატმოსფეროსი, რომელიც დღევანდელი წარმოდგენით, ბახის ხელმძღვანელობით კამერული მუსიკის შესრულებისას სუფევდა გოტფრიდ ციმერმანის კაფეში. ამისათვის ცნობილმა მევიოლინე პაბლო ვალეტიმ და კლავესინისტმა სელინ ფრიშმა შეკრიბეს განსხვავებული მუსიკოსები და წარმოადგინეს ისეთი ვირტუოზული და ტექნიკური დონის შესრულება, რომელმაც მალე დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება, ამავე დროს ფრანგულ ფირმა „Alpha“-ზე სტუდიაში ჩაინერეს ბახის ყველა საორკესტრო კონცერტი (მათ შორის ბრანდენბურგის და სუიტები).

ამ კომპლექტის სრულად გაცნობისას ჩემი ყურადღება მიიქცია ხმისჩამწერი ინჟინრების განსაკუთრებულმა ნამუშევარმა. მათ განუმეორებელი აუთენტური და ცოცხალი ატმოსფერო შექმნეს სულ რამდენიმე ინსტრუმენტის უღერადობიდან. ეფექტი მოულოდნელი და ძნელად დასაჯერებელი იყო. მსმენელი ალბათ ვერ წარმოიდგენდა, რომ უკეთეს შემთხვევაში უსმენდა ათკაცთან და არა 18-30 კაცთან ორკესტრს.





ზალცბურგის დიდი საუნივერსიტეტო ოთხკუთხედი ფორმის დარბაზი, რომელშიც ზალცბურგის ბახის საზოგადოების თაოსნობით და ორგანიზებით ამა წლის 28 თებერვლის საღამოს ანსამბლი „კაფე ციმერმანი“ პირველად ამ ქალაქში კონცერტს ატარებდა, დარბაზი 500 მსმენელს იტევს. რიგები, ძველი საუნივერსიტეტო ტრადიციებისამებრ, მაღლდება თანდათანობით, პირველი რიგიდან ბოლომდე, ასე რომ, მაყურებელი წინა რიგში ხელს არ უშლის მომდევნო რიგის მაყურებელს. იმ საღამოს დარბაზის შესატყვის ასევე ოთხკუთხედი ფორმის პატარა სცენაზე, რომელიც იატაკიდან ერთი მეტრით მაღლაა, გარდა გრძელი კლავესინისა, სკამებისა და პიუპიტრებისა, არაფერი იყო. დარბაზის თემ კედლებზე, დიდი ფანჯრების თავზე ძველი სურათებია განთავსებული. როგორც წყაროები იუწყებიან, ეს დარბაზი (როგორც უნივერსიტეტის ნაწილი, რომელიც 1622 წელს არის დაარსებული ბენედიქტთა ორდენის მიერ) წარსულში მოცარტის მუსიკის ადრეული ოპერა „აპოლონი და ჰიაციინტი“ – ის პირველი შესრულების მომსწრეა. მას შემდეგ, ანუ უკანასკნელი 25 წლის შემდეგ, დარბაზი განახლდა და ერთ-ერთ წამყვან მუსიკალურ სცენად იქცა, სადაც მოცარტის ზალცბურგის სახელგანთქმული ფესტივალები ტარდება.

იმ საღამოს პროგრამა შედგებოდა მეორე სი მინორული სუიტის (BWV1067), ლა მაჟორული კლავესინის კონცერტის (BWV1055), მაჟორული ტრიო-სონატისა (BWV1038) და მეხუთე ბრანდენბურგის კონცერტისაგან (BWV1050). ბახის მეორე სუიტა შესრულდა 5 სიმებიანი საკრავის, კლავესინისა და ფლეიტის მიერ. ფლეიტისტი დიანა ბარონი ინსტრუმენტალისტების წინ იდგა და კლავესინი კი სულ უკანა ხაზზე აღმოჩნდა. მაგრამ კონცერტის დაწყებიდანვე მივხვდი, რომ აკუსტიკური მრავალფეროვნება და სისავსე (რაც ამ ანსამბლის ჩანაწერებში გამოჩნდა) არა ხმის ოპერატორების, არამედ ანსამბლის სტრატეგიის შედეგი იყო.

ყურადღებით გამორჩეული შემსრულებლები და იმ ეპოქის ინსტრუმენტები ქმნიდნენ არნახულად აუთენტურ ჟღერადობას, რომელიც მეტად თანამედროვე და მიმზიდველი იყო. შვიდი ინსტრუმენტი თავისი სიძლიერით დიდ დარბაზს ავსებდა და ქმნიდა ხმით გაჯერებულ ატმოსფეროს, რომელიც საორკესტრო კონცერტებში გამოვლენილ ბახის იუმორულ ხასიათსა და იმპროვიზაციულ ნიჭს კარგად ასახავდა. კლავესინის ხმა არ ქარბობდა, იყო პრაქტიკულად ერთ რეგისტრში და რბილ, მრგვალ ბგერებს გამოსცემდა. მეხუთე ბრანდენბურგის კონცერტი ის ნაწარმოებია, სადაც კლავესინის დიდი როლი ენიჭება თავისი ხანგრძლივი სოლო კადენციის გამო. სელინ ფრიში არცთუ უხარვეზოდ, მაგრამ კარგად გაუმკლავდა ამ პარტიას, დაიჭირა ტემპი და იმპროვიზაციის კარგი სტილი.

თავიდანვე შესრულების ტემპი იმ თავბრუდამხვევზე ნელი მომეჩვენა, რაც ანსამბლმა ჩანაწერში შემოგვთავაზა, თითქოს შესრულებას ასევე აკლდა სიცოცხლე და სითბო. მუსიკოსები უკრავდნენ, მაგრამ რატომღაც ბახის მუსიკით აღტკინებულები არ ჩანდნენ, რასაც პაბლო ვალეტის შეკრული, უემოციო სახეც ასახავდა. ამან ძალზე დამწყვიტა გული. მაგრამ დარბაზი, რომელიც დიდი სიჭარბით ასაკოვანი მსმენელით იყო სავსე, მაინც გულთბილად იღებდა ვირტუოზებს და კონცერტის ბოლოს არ უშვებდა მათ სცენიდან. ბისზე ჯერ შესრულდა ბახის ცნობილი არია მესამე სუიტიდან (BWV1068) და რადგან დარბაზი არ მალავდა თავის განსაკუთრებულ განწყობას, პაბლო ვალეტიმ გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ მეორე სუიტის ფლეიტის ვირტუოზული ნაწილი გაემეორებინა. ახლა უკვე მეტად რელაქსირებულებმა და ეგზალტირებულებმა შესატყვისი ემოციური სილაღე დააყოლეს, რამაც შესრულებას ის გულისცემა შესძინა, რაც კონცერტს თავიდანვე აკლდა. აქ გამოვლინდა ანსამბლის საუკეთესო საშემსრულებლო თვისებები.


შესრულება-4.0; არტისტიზმი-3.8; აკუსტიკური ბალანსი-5.0

## ქრონიკა

# საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა, მოვლენები:

● 27 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე საფრანგეთში „ლევილის შატოს“ წიგნსაცავში აღრიცხული მასალების შესწავლისა და სისტემატიზაციის მიზნით, იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლ. თაქთაქიშვილი და იშვიათ გამოცემათა განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნათია კობახიძე. „ლევილის შატოს“ წიგნსაცავის ფონდების შესწავლა, მნიშვნელოვანი დოკუმენტების ფოტოასლების გადაღება და, საერთოდ, წიგნსაცავის

ორგანიზება განხორციელდა სპეციალური პროექტით, პროექტის ინიციატორი იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, პროექტის პარტნიორები იყვნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს საელჩო საფრანგეთში, სამოქალაქო საზოგადოება „ქართული კერა“ და ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტი. პროექტს ხელმძღვანელობდა პროფესორი სტივენ ჯონსი. წიგნსაცავში დაცული ფონდებიდან ამოირჩა კავკასიისა და საქართველოსთან



საქართველო  
Georgia

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

KUTAISI ILIA CHAVCHAVADZE SCIENTIFIC LIBRARY

საიუბილეო საერთაშორისო  
სამეცნიერო კონფერენცია

პ რ ო გ რ ა მ ა

16-17 ნოემბერი, 2013 წელი

November, 16-17<sup>th</sup>, 2013

Program

Jubilee International Scientific Conference

დაკავშირებული რევოლუციამდელი გამოცემები, ქართული ემიგრანტების მიერ 1920–1980–იან წლებში საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოცემილი პერიოდული მასალები. შედგა კატალოგი, ელექტრონულ ფორმებში გადაიტანეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფოტომასალა და სტატიები.

● 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ საჩხერის რაიონის სოფ. პერევის სასოფლო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 800–მდე წიგნი. ღონისძიება ჩატარდა საბიბლიოთეკო სინდიკატის პროექტის ფარგლებში. პერევის ბიბლიოთეკისათვის დახმარების განევის იდეა ეკუთვნის ჟურნალისტ როლანდ ხოჯანაშვილს.

● 4 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ინიციატივით საქართველოს საპატრიარქოს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და გამომცემლობა „ინტელექტის“ დახმარებით ავღანეთში მყოფი ჯარისკაცებისათვის გაიგზავნა 226 ეგზ. მნიშვნელოვანი თანამედროვე ლიტერატურა. იმავე დღეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმდა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრებს“ შორის. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და „ქართული ემიგრაციის დარბაზის მეგობრების“ თავმჯდომარემ რუსუდან გორგილაძემ. მემორანდუმის ფარგლებში

მხარეები ერთობლივად მოიპოვებენ ქართველ ემიგრანტთა არქივებში დაცულ მასალებს და უზრუნველყოფენ მათი ხელმისაწვდომობას.

● 10 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს 23 გამომცემლობის პროდუქცია. ბაზრობაზე ქართული პოეზიის შესახებ ილაპარაკა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ.

● 21 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ელექტრონული დარბაზი გაიხსნა. დარბაზი გახსნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა გიორგი კეკელიძემ და „ლიბერთი ბანკის“ გენერალურმა დირექტორმა გიორგი არველაძემ.

● 30 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა პროექტის „საქართველოში თანამედროვე ბიბლიოთეკების განვითარების ხედვა“ – შედეგების პრეზენტაცია. როგორც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში ვიტყობინებოდით, პროექტი ხორციელდება ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის შედეგების წარდგენას დაესწრო ლიტვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში იონას პასლაუსკასი. პროექტის შედეგებზე და შექმნილი დოკუმენტების მნიშვნელობაზე ილაპარაკეს პროექტის მენეჯერმა ლაურა გრინევიჩიუტემ, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი ლარიბაშვილმა, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ რ. ნაქაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა დიანა გელაშვილმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა ქეთევან გომელაურმა პროექტის საინიციატივო ჯგუფის სახელით თავისი მოსაზრებები გამოთქვა მამუკა ხანთაძემ.

● 5 ნოემბერს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა ქართულ-შვედური სემინარი თემაზე: „საბავშვო ბიბლიოთეკების დაგეგმარება“. სემინარზე მოხსენებით გამოვიდნენ ქ. ფეიქრიშვილი – თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი, კატარინა გსუნდოელი – შვედი არქიტექტორი, ირაკლი ლარიბაშვილი – საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის




დირექტორი, აგრეთვე ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკების სახელით ბათუმის, ზუგდიდის, ხაშურის, ქუთაისის, რუსთავის მთავარი ბიბლიოთეკების პასუხისმგებელი პირები.

● 16–17 ნოემბერს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა საერთაშორისო საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიეძღვნა ქუთაისში ანტონ ლორთქიფანიძის მიერ დაარსებული საჯარო ბიბლიოთეკის 140 წლისთავს. პირველ დღეს აღნიშნა ბიბლიოთეკის ღვანლი და ისტორია ქუთაისის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საქმეში, მეორე დღე დაეთმო საერთაშორისო სამეცნიერო-კონფერენციას, რომელიც წელს მესხეთედ ჩატარდა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 30–ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება საქართველოს ისტორიის, ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და კულტუროლოგიის თემატიკაზე. ყოველწლიურად გამოიცემა კონფერენციის წელიწადური.



● 6 დეკემბერს გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის სხდომა. განიხილეს ასოციაციის წევრთა საწევრო გადასახადის, კონსორციუმის, საერთო კრების ჩატარების, სასწავლო ცენტრის, ასოციაციის ვებგვერდის გაუმჯობესებისა და ასოციაციის 2014 წლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, გჭადაწყდა, მომზადდეს ღია წერილი მთავრობის სახელზე ქვეყანაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ.



● 9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიხსნა ზურაბ ჟვანიას სახელობის კაბინეტი. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე.

ზურაბ ჟვანიას კაბინეტის გახსნაზე



ზეიმი — „წიგნის მეგობარი“



## ჩვენი კალენდარი — 2014

### 2014 წ. ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი

#### იანვარი

- 1 - 120 წლის წინათ (1894) დაიბადა როდიონ ქორქია - მწერალი (გარდ. 1984).
- 2 - 125 წლის წინათ (1889) დაიბადა ვალერიან გაფრინდაშვილი - პოეტი. (გარდ. 1941).
- 3 - 110 წლის წინათ (1904) დაიბადა ანა ლვინიაშვილი - მწერალი (გარდ. 1981).
- 7 - შობა.
- 14 - ქართული თეატრის დღე.
- 19 - 205 წლის წინათ (1809) დაიბადა ედგარ ალან პო - ამერიკელი მწერალი (გარდ. 1849).
- 21 - 285 წლის წინათ (1729) დაიბადა გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი - გერმანელი მწერალი, დრამატურგი, განმანათლებელი. (გარდ. 1781).
- 25 - 255 წლის წინათ (1759) დაიბადა რობერტ ბერნსი - შოტლანდიელი პოეტი (გარდ. 1796).

#### თებერვალი

- 7 - 130 წლის წინათ (1884) დაიბადა ლეო ქიაჩელი (შენგელაია) - მწერალი (გარდ. 1963).
- 8 - ხსენება დავით აღმაშენებლისა.  
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღე.  
- 160 წლის წინათ (1854) დაიბადა ივანე მაჩაბელი - მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. (უგზოუკვლოდ დაიკარგა 1898).
- 13 - 245 წლის წინათ (1769) დაიბადა ივანე კრილოვი - რუსი მწერალი, მეიგავე. (გარდ. 1844).
- 15 - 450 წლის წინათ (1564) დაიბადა გალილეო გალილეი - იტალიელი ფიზიკოსი, მექანიკოსი, ასტრონომი. (გარდ. 1642).
- 17 - 155 წლის წინათ (1859) დაიბადა ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა) - მწერალი. (გარდ. 1894).
- 21 - მშობლიური ენის დღე.  
- 145 წლის წინათ (1869) დაიბადა ოვანეს თუმანიანი - სომეხი მწერალი, საზოგადო მოღვაწე.
- 27 - 105 წლის წინათ (1909) დაიბადა მაცვალა მრეველიშვილი - პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდ. 1992).

#### მარტი

- 3 - დედის დღე.  
- 200 წლის წინათ (1814) დაიბადა ტარას შევჩენკო - უკრაინელი პოეტი (გარდ. 1861).  
- 165 წლის წინათ (1849) დაიბადა კონსტანტინე (კოტე) ყიფიანი - მსახიობი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე, მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი (გარდ. 1921).
- 8 - ქალთა საერთაშორისო დღე.
- 9 - 1956 წ. თბილისში სსრკ ჯარებმა დახვრიტეს მშვიდობიანი მიტინგი.  
- 70 წლის წინათ (1944) დაიბადა ნუგზარ შატაიძე - მწერალი, დრამატურგი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
- 18 - 85 წლის წინათ (1929) დაიბადა შოთა ნიშნიანიძე - პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდ. 1999).
- 20 - გაერო-მ გამოაცხადა ბედნიერების დღედ.
- 21 - ქართველ ჟურნალისტთა დღე.
- 23 - 70 წლის წინათ (1944) დაიბადა ჯემალ აჯიაშვილი - ქართველი მწერალი, ეროვნებით ებრაელი, თბილისის საპატიო მოქალაქე.
- 26 - 75 წლის წინათ (1939) დაიბადა გურამ დოჩანაშვილი - მწერალი.
- 27 - თეატრის საერთაშორისო დღე.
- 31 - 75 წლის წინათ (1939) დაიბადა ზვიად გამსახურდია - საქართველო სპირველი პრეზიდენტი (გარდ. 1992).



**აკრილი**

- 2 – საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
- 3 – 95 წლის წინათ (1919) დაიბადა გიორგი ნაფეტვარიძე – პოეტი (გარდ. 1942).
- 9 – საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე.  
– 80 წლის წინათ (1934) დაიბადა თამაზ ბიბილური – მწერალი.
- 12 – 85 წლის წინათ (1929) დაიბადა მუხრან მაჭავარიანი – პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. (გარდ. 2010).
- 14 – ქართული ენის დღე.  
– 200 წლის წინათ (1814) დაიბადა დიმიტრი ყიფიანი – მწერალი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი. (გარდ. 1887).
- 16 – 75 წლის წინათ (1939) დაიბადა გენო კალანდია – პოეტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
- 18 – ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის დღე.  
– 205 წლის წინათ (1809) დაიბადა ნიკოლოზ გოგოლი – რუსი მწერალი (გარდ. 1852).
- 20 – აღდგომა.  
– 95 წლის წინათ (1919) დაიბადა ლადო სულაბერიძე – პოეტი. (გარდ. 1993).
- 21 – 190 წლის წინათ (1824) დაიბადა რაფიელ ერისთავი – მწერალი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი. (გარდ. 1901).
- 23 – წიგნის საერთაშორისო დღე.
- 24 – 115 წლის წინათ (1889) დაიბადა იოსებ გრიშაშვილი (მამულაიშვილი) – პოეტი – აკადემიკოსი, მკვლევარი. (გარდ. 1965).  
– ახალგაზრდობის სოლიდარობის საერთაშორისო დღე.
- 28 – 450 წლის წინათ (1564) დაიბადა უილიამ შექსპირი – ინგლისელი დრამატურგი, პოეტი (გარდ. 1616).
- 30 – ქართული არმიის დღე.  
– ბიბლიოთეკარის დღე. საბიბლიოთეკო კვირეულის შეჯამება.

**მაისი**

- 7 – 75 წლის წინათ (1939) დაიბადა ლია სტურუა – პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.
- 9 – ფაშიზმზე გამარჯვების დღე.
- 18 – 105 წლის წინათ (1909) დაარსდა თბილისის მ. ჯავახიშვილის სახელობის მთავარი ბიბლიოთეკა.  
– მუზეუმის საერთაშორისო დღე.
- 20 – 215 წლის წინათ (1799) დაიბადა ონორე დე ბალზაკი – ფრანგი მწერალი. (გარდ. 1850).
- 21 – 140 წლის წინათ (1874) დაიბადა შალვა დადიანი – მწერალი, დრამატურგი, სახალხო არტისტი. (გარდ. 1959).
- 26 – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.  
– 75 წლის წინათ (1939) დაიბადა მერაბ კოსტავა – ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი თვალსაჩინო მოღვაწე, მოძრაობის ლიდერი. (გარდ. 1989).  
– 155 წლის წინათ (1859) დაიბადა არტურ კონან დოილი – ინგლისელი მწერალი. (გარდ. 1930).
- 30 – 100 წლის წინათ (1914) დაიბადა ვახტანგ ბერიძე – მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი. (გარდ. 2000).

**ივნისი**

- 1 – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.
- 5 – გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე.  
– 130 წლის წინათ (1884) დაიბადა დავით სულიაშვილი – მწერალი (გარდ. 1964).
- 6 – 125 წლის წინათ (1799) დაიბადა ალექსანდრე პუშკინი – რუსი მწერალი (გარდ. 1837).
- 14 – 80 წლის წინათ (1934) დაიბადა მერაბ ელიოზიშვილი – მწერალი, დრამატურგი (გარდ. 2012).
- 15 – 80 წლის წინათ (1934) დაიბადა გიგა მახვილაძე – მწერალი. (გარდ. 2001).
- 16 – 80 წლი წინათ (1934) დაიბადა ნოდარ ჯალალონია – პოეტი.



- 23 – 80 წლის წინათ (1934) დაიბადა გურამ გეგეშიძე – მწერალი.
- 125 წლის წინათ (1889) დაიბადა ანა ახმატოვა (გორენკო) – რუსი პოეტი. (გარდ. 1966).
- 29 – 120 წლის წინათ (1894) დაიბადა პაოლო იაშვილი – პოეტი. (გარდ. 1937).
- 30 – 175 წლის წინათ (1839) დაიბადა სიმონ გუგუნავა – პოეტი. (გარდ. 1903).

**ივლისი**

- 4 – 80 წლის წინათ (1934) დაიბადა გურამ რჩეულიშვილი – მწერალი (გარდ. 1960).
- 7 – 135 წლის წინათ (1879) დაიბადა ჭოლა ლომთათიძე – მწერალი, საზოგადო მოღვაწე. (გარდ. 1915).
- 115 წლის წინათ (1899) დაიბადა ერნოტ ჰემენგუეი – ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი. (გარდ. 1961).
- 28 – 90 წლის წინათ (1824) დაიბადა ალექსანდრე დიუმა – უმცროსი (შვილი – ავტორი საყოველთაოდ ცნობილი ნაწარმოების „ქალი კამელიებით“) – ფრანგი მწერალი, პუბლიცისტი. (გარდ. 1895).

**აგვისტო**

- 1 – 100 წლის წინათ (1914) დაიბადა გრიგოლ აბაშიძე – მწერალი, პოეტი, საზოგადო მოღვაწე. (გარდ. 1994).
- 12 – ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე.
- 80 წლის წინათ (1934) დაიბადა გივი ჭიჭინაძე – პოეტი, მსახიობი. (გარდ. 1999).
- 13 – 100 წლი წინათ (1914) დაიბადა აკაკი ძიძიგური – ჟურნალისტი, ხელოვნების დამს. მოღვაწე, თბილისის საპატოო მოქალაქე; ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას. (გარდ. 1995).
- 15 – 130 წლის წინათ (1884) დაიბადა ალექსანდრე აბაშელი (ჩოჩია) – პოეტი (გარდ. 1954).
- 29 – 125 წლის წინათ (1889) დაიბადა ილია სიხარულიძე – პოეტი. (გარდ. 1963).
- 1924 წ. ბოლშევიკურმა მთავრობამ სისხლში ჩააღმო დამოუკიდებლობისათვის აღძრული აჯანყება.

**სექტემბერი**

- 1 – ცოდნის დღე.
- მშვიდობის მსოფლიო დღე.
- 6 – 165 წლის წინათ (1849) დაიბადა ანასტასია თუმანიშვილი – მწერალი (გარდ. 1880).
- 8 – ჟურნალისტთა სოლიდარობის დღე.
- 11 – 100 წლის წინათ (1914) დაიბადა გაბრიელ ჯაბუშანური – პოეტი. (გარდ. 1969).
- 12 – დიდგორობა.
- 21 – 100 წლის წინათ (1914) დაიბადა კიტა ბუაჩიძე – მწერალი, დრამატურგი (გარდ. 2000).
- 22 – 105 წლის წინათ (1909) დაიბადა ბონდო კეშელავა – პოეტი. (გარდ. 1995).
- 26 – 200 წლი წინათ (1814) დაიბადა დავით ჩუბინაშვილი – ენათმეცნიერი, ლექსიკოგრაფი, ლიტერატურათმცოდნე. (გარდ. 1891).
- 27 – სოხუმის დღე (1993).

**ოქტომბერი**

- 1 – მშვიდობის მსოფლიო დღე.
- მუსიკის საერთაშორისო დღე.
- 2 – 210 წლის წინათ (1804) დაიბადა გრიგოლ ორბელიანი – პოეტი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე (გარდ. 1883).
- 60 წლის წინათ (1954) დაიბადა გოდერძი ჩოხელი – მწერალი, კინორეჟისორი. (გარდ. 2007).
- 8 – ჟურნალისტთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.
- 9 – რკინიგზელთა დღე.
- 10 – მეტყვევთა დღე.
- 15 – 200 წლის წინათ (1814) დაიბადა მიხეილ ლერმონტოვი – რუსი მწერალი, პოეტი. (გარდ. 1841).

- 155 წლის წინათ (1859) დაიბადა კოსტა ხეთაგუროვი (ხეთიგათი) - ოსი მწერალი, საზოგადო მოღვაწე (გარდ. 1906).
- 16 - 160 წლის წინათ (1854) დაიბადა ოსკარ უალდი - ინგლისელი მწერალი (გარდ. 1900).
- 29 - რუსთაველის დღე, პოეზიის დღე.
- პირველი კვირა - მასწავლებლის დღე.
- ბოლო კვირა - თბილისობა.

### ნოემბერი

- 3 - 85 წლის წინათ (1929) დაიბადა ჯანსუღ ნიქაბაძე - პოეტი. (გარდ. 1989).
- 10 - 110 წლის წინათ (1904) დაიბადა გერცელ ბააზოვი - ქართველი მწერალი, პოეტი, ეროვნებით ებრაელი. (გარდ. 1938).
- პოლიციის დღე.
- ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.
- 11 - 75 წლის წინათ (1939) დაიბადა ბესიკ ხარანაული - პოეტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.
- 13 - სიკეთის საერთაშორისო დღე.
- 15 - ტოლერანტობის საერთაშორისო დღე.
- 20 - 80 წლისწინათ (1934) დაიბადა ნელი თარბა - აფხაზი მწერალი და ბიბლიოფილი.
- 100 წლი სწინათ (1914) დაიბადა ალექო შენგელია - პოეტი (გარდ. 1975).
- 21 - 90 წლის წინათ (1924) დაიბადა ედიშერ ყიფიანი - მწერალი, (გარდ. 1892).
- 22 - 185 წლის წინათ (1829) დაიბადა ივანე კერესელიძე - მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, ნიგნების გამავრცელებელი. (გარდ. 1892).
- 23 - 105 წლის წინათ (1909) დაიბადა ირაკლი აბაშიძე - პოეტი, საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე. (გარდ. 1992).
- 26 - 145 წლის წინათ (1869) დაიბადა მარჯორი სკოტ უორდროპი - ინგლისელი მთარგმნელი, „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი. (გარდ. 1909).

### დეკემბერი


- 1 - 90 წლის წინათ (1924) დაიბადა ოთარ მამფორია - პოეტი (გარდ. 2000).
- 10 - ადამიანის უფლების დაცვის დღე.
- 90 წლის წინათ (1924) დაიბადა ხუტა ბერულავა - პოეტი (გარდ. 2004).
- 14 - აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს დაღუპულ ბავშვთა დღე.
- 15 - 90 წლის წინათ (1924) დაიბადა ანა კალანდაძე - პოეტი, თბილისის საპატიო მოქალაქე. (გარდ. 2008).
- 22 - 100 წლის წინათ (1914) დაიბადა ვლადიმერ უბილავა - პოეტი. (გარდ. 1942).
- 23 - მედიცინის მუშაკთა დღე.
- 27 - 115 წლის წინათ (1899) დაიბადა გიორგი ლეონიძე - პოეტი, საზოგადო მოღვაწე, მკვლევარი. (გარდ. 1966).
- 31 - 165 წლის წინათ (1849) დაიბადა მიხეილ ასათიანი - მწერალი, პუბლიცისტი, (გარდ. 1879).

### მიმდინარე წელს აღინიშნება:

- პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის გამოქვეყნების 385 წლისთავი (1629).
- პირველი ქართული სტამბა საქართველოში - 305 წლისთავი (1709).
- 1630 წლის წინათ (ძვ. წ. 382) დაიბადა არისტოტელე. (გარდ. ძვ. წ. 322).
- 225 წლის წინათ (1789) დაიბადა იოანე ბაგრატიონი (ბატონიშვილი) - მწერალი, მწიგნობარი, კახეთის აჯანყების მონაწილე, ქართული ზეპირსიტყვიერების შემკრები, ქართული ანთეოლოგიის შემდგენელი. (გარდ. 1830).
- 245 წლის წინათ (1769) დაიბადა გიორგი ავალიშვილი - მწერალი, პოლიტიკური მოღვაწე, მოგზაური (გარდ. 1850).
- 170 წლის წინათ (1844) დაიბადა ნიკოლოზ (ნიკო) ავალიშვილი - ჟურნალისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, რეჟისორი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე. (გარდ. 1929).

### ნეკროლოგი

## შრომით დაუღლელი ადამიანის სასრული



საქმის ერთგული, დახვეწილი პროფესიონალი, ღირსეული პედაგოგი, თავმდაბალი, კეთილშობილებით აღსავსე ადამიანი – ასეთად იცნობდნენ დარეჯან ანდრიას ასულ კოტეტიშვილს. მთელი მისი ცხოვრება ნიმუში იყო მოქალაქებობრივი უზადოების, ცოდნისაკენ სწრაფვის, შრომის მოყვარეობის, კოლეგათა შორის ურთიერთობისა და მხარდაჭერის.

დ. კოტეტიშვილი დაიბადა 1936 წლის 21 დეკემბერს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში, სოფლის ერთ-ერთ ცნობილი ინტელიგენტის ოჯახში. მამა აგრონომი იყო, რომლის ღვაწლით ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა იმ მხარეში. დედა – განათლებული ქალბატონი ყველაფერს აკეთებდა, რომ შვილებიც განათლებული, სწავლული ადამიანები გამოსულიყვნენ. ოჯახში წიგნის კულტი იყო დამკვიდრებული. სწორედ ამის წყალობით უფროსმა ძმამ – ფარნაოზ კოტეტიშვილმა პროფესორის ტიტული დაიმსახურა, თვით დარეჯანი კი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში (შემდგომში სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, შემდეგ კი, როცა წარმატებით ჩაბარა საკანდიდატო მინიმუმი, პედაგოგის თანამდებობაზე იქნა გადაყვანილი, ამ თანამდებობაზე ის წლების განმავლობაში მუშაობდა, ვიდრე პენსიაზე არ გავიდა.


დ. კოტეტიშვილმა საშუალო სკოლა მშობლიურ სოფელში დაამთავრა 1954 წელს და სწავლა 1957 წლიდან თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე, რომელიც 1962 წელს დაასრულა. უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე მუშაობდა თბილისის 47-ე საშუალო სკოლის ლაბორანტად და საქმის მწარმოებლად, ხოლო სპეციალობის მიღების შემდეგ – 1962 წლიდან მუშაობდა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის ლაბორანტად, 1967 წლიდან კი უფროს ლაბორანტად. ამ დროიდან ჩაბმული იყო სტუდენტთა სწავლების პროცესში, სისტემატურად ატარებდა ლაბორატორულ და პრაქტიკულ

მეცადინეობას, ხელმძღვანელობდა სემინარებს. ძირითადად მუშაობდა ბიბლიოგრაფიის დარგში, მიჰყავდა ზოგადი, მხატვრული ლიტერატურისა და უცხოური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიები. დაამუშავა საკანდიდატო ნაშრომი „პერსონალური ბიბლიოგრაფია და მისი შედგენის პრინციპები“, ყოველწლიურად ადგენდა კათედრაზე სამეცნიერო ნაშრომს, სისტემატურად ლეზულობდა მონაწილეობას სამეცნიერო სესიებში, ხელმძღვანელობდა სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის რეფერატების მომზადებაში.

დ. კოტეტიშვილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა „დასავლეთ ევროპის მხატვრული ლიტერატურის პროზაული და დრამატული ნაწარმოებების ცალკე წიგნად გამოცემული ქართული თარგმანების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (1860–1904 წ. წ.)“. მისი თანაავტორობით ცნობილ ბიბლიოთეკათმცოდნეთა რამდენიმე ბიობიბლიოგრაფია გამოიცა. ბოლო წლებში განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა პუბლიცისტიკაში. აქტიურად თანამშრომლობდა პროფესიულ ურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკაში“, წერდა კორესპონდენციებს, რეცენზიებს, საიუბილეო წერილებს, ნარკვევებს. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მისმა სტატიებმა: „ღვანლის უკვდავსაყოფად“, „სიბრძნის საუნჯე“, „საყურადღებო ნაშრომი“, „საბიბლიოთეკო პრობლემები საერთაშორისო ასპექტით“, „უკეთესი მომავლის საწინდარი“, „ჩვენი ცნობილი მოღვაწენი“, „რაფიელ ერისთავი – მწერალი და საზოგადო მოღვაწე“, „შეხვედრა კონფლიქტის ზონაში“, „ჭეშმარიტად სახალხო“, „კავთისხევის საზოგადო-საეკლესიო წიგნსაცავი“, „იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრობა და საქმიანი ურთიერთობა“, „ლიტერატურული მუზეუმის სათავეებთან“, „ილია ჭავჭავაძე და ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკა პეტერბურგში“ და სხვ.

მიმდინარე წელს შეწყდა მისი გულისცემა. ყოველგვარი ხმაურის გარეშე. უსიტყვოდ, ისევე, როგორც ცხოვრებაში ცდილობდა შეუმჩნეველი ყოფილიყო, ასევე შეუმჩნეველად გაგვმორდა, საშუალებაც კი არ მოგვეცა, გაგვეცილებინა მის საბოლოო გზაზე. ფრიად დაწყვიტა გული როგორც მის ახლობლებს, ისე კოლეგებს, ამხანაგ-მეგობრებს, მოსწავლეებს, ბევრი მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა, რითაც სამუდამო ხსოვნა დაგვიტოვა.

**კოლეგები ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრიდან ურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკა“**



*ვიდითყაუთ დაძვოუ შობა - ახალ წელს!*





# 2014 წიგნიერების წელი

[WWW.PETITIONS24.COM/2014](http://WWW.PETITIONS24.COM/2014)

საქართველოში მწიგნობრობის კულტურას თხუთმეტსაუკუნოვანი ტრადიცია აქვს, თუმცა დღეს ქვეყანაში წიგნიერების დონე საშუალო მაჩვენებელზე დაბალია.

2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადება შესაძლებელს გახდის სამოქალაქო ინტერესის ფოკუსირებას განათლებისა და კულტურის საკითხებზე. აუცილებელია, შემუშავდეს გრძელვადიანი პროგრამა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი საჭიროებები და მსოფლიო გამოცდილება.

გაიზიარე ინიციატივა საქართველოში 2014 წლის წიგნიერების წლად გამოცხადების შესახებ და ხელი მოაწერე პეტიციას:  
[www.petitions24.com/2014](http://www.petitions24.com/2014)